

რაჭავულები

№3 (66) 1.03.2015 - 1.04.2015 ღირებულება: 2 ლარი

საქართველოს პარლამენტი

80-ე წლისადმი ვ და 8 მაგისტრ

10

გახსოვდეს მეგობრის მიყვანი

9

მადლობის ღირსეული
მეგობარი ამბობს

ქართული კლასიკოსების გულში გახსნილი და თვალში ადრეული დედის ფენოები

26

კობა
არაბული



სა პლაკატებს
ითვალისწინებს
მთის ქარნი

32

ვანა
სხადია

რაჭის
ტოპონიმის
ენობრივი და
გარეგანი
ანალიზის
ზოგიერთი
საკითხები

ვან კლიბერნა
ზუკაბ
ქიჩვალიძის
ნოტები
აპრიკაში
ნაილო



13



რას ურჩევს სარვაპარტოვ ქალებს
ვანო ტინცაძე

ჩემი ინანიშვილი

დედა

დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი - თითებდამჭყნარი, მაჯებდანვრილებული. მაინც მიღიმოდა და ისე მეუბნებოდა, - ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს - თითქოს უზო-ყორის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოცხით შეწეხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვედი.

ჩვენიდან რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავჯვე-თავჯვე, აქედან კიდევ - აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, - სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვებ და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავინწყე მე სიცილი, - რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. - არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი ჯარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წვეარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, - წაიღე, შვილოო, - შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით - წაღი-მეთქი ახლა - მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდევ, მივიხედე და დგას ისევ, მალთა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. - წაღი-მეთქი, წაღი გაბრუნდა, წავიდა. მე თავჯვე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და, რამდენსაც მივიხედავ, იმ წვეარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

- დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ ააღწევს. ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყურებოდი დედების საჯიუტეზე.

ის კი იყო და ის - ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დაუღია სული და დამრჩა იმ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იღგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა,

რომ ცოცხალი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ველარ წამოდგა და იყო ასე, - ფარანზე დაყრდნობილი?! კიდევ უარესი - სამუდამოდ ხომარ მეთხოვებოდა იმ ფარნით?! დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდას...

სარჩევი



| | |
|--|----|
| დედის ლოცვა | 2 |
| მარტის თვეა შენი — ეთერ ჩიკვილაძე | 4 |
| ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი?! — ილია ჭავჭავაძე | 6 |
| დედა — გოდერძი ჩოხელი | 7 |
| მ მარტი | 8 |
| მადლმოსილი მკურნალი — მზია ამბროლიანი | 9 |
| გაზაფხულის მეჯლისი რაჭაში | 10 |
| დედა — რეზო ინანიშვილი | 13 |
| ადამიანი, რომელმაც სახლიც დაკარგა და კაციც, ჩვენს მხარდაჭერას საჭიროებს!!! | 14 |
| მთის რაჭის ეკლესიები უმთავრესად შოდის წმ. გიორგის ეკლესიის ბერების მიერ გამოქვედელი ჯვარ-ხატებით ყოფილა შემკული | 15 |
| მთის რაჭა - სოფელი ჭიორა იყო მისი სიცოცხლის წყარო | 18 |
| მოგონებები ნოველებად — გივი სიხარულიძე | 20 |
| ეკლესიები, სადაც მორწმუნენი უფალს შვილის ყოლას ვევდრებიან — დავით კიკოლაშვილი | 22 |
| როგორ უბრალო ქალად დამიბერდი ჩემო ხელოვანო დედა! | 24 |
| რა შეღავათებს ითვალისწინებს მთის კანონი — კობა არაბული | 26 |
| მომიალერსე დედა | 28 |
| დედის გახსენება | 29 |
| რჩევა დარიგებანი ქალებს — ვანო ცინცაძე | 30 |
| რაჭის ტოპონიმის ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხი — პაატა ცხადაია | 32 |
| სისხლიანი გაზაფხული | 34 |
| როგორ მოვუაროთ ოთახის იას? | 36 |
| სამარხვო კერძები | 38 |
| ლეილა ბერიშვილი — ვისაც ჯერ არს | 40 |

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშვილი

ტექსტი აანყო

თამარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ

რაჭველებს და არა მარტო მათ,

გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _

გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,

რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს

მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



დედის ჩემი

ჰოი, სამებაო, ერთარსებაო და
განუყოფელო, მამაო, ძეო და წმიდაო
სულო!

გვედრები შენ, უფალო, დაიცავ შვილნი
ჩემნი (სახელები) ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა
და იწროებისა, მტერთაგან ხილულთა და უხილავთა და უცნაურისა
სიკვდილისაგან და ღირს ჰყავ ისინი ზეცისასა შენსა სასუფეველსა.
დაუსაბამოისა მამისა, თანადაუსაბამოით შენით ძითურთ და ყოვლად-
წმიდით და სახიერით და ცხოველისმყოფელით სულით შენითურით,
თაყვანის გცემ არსობით და გვედრები, ნუ დახშავ საუნჯეთა შენთა
შვილთა ჩემთათვის (სახელები).

ნუ მოიძულე მეფეო, რამეთუ ხელთა შენთა ქმნილნი არიან. დაიცავ
შვილნი ჩემნი (სახელები) ამა სოფლის ამოებათა ხიბლისაგან, არამედ
სრულიად ადავსე გულნი მათნი სულითა შენითა წმიდათა, რათა
ყოველნი მათნი საქმენი წარემართნონ სულიერთა შენთა კეთილთა და
საუკუნო ცხოვრებისაკენ. ამინ! ამინ! ამინ!

ჰოი, ყოვლადწმიდაო დედუფალო ღვთისმშობელო!

იხსენ და დაიცევ შვილნი ჩემნი (სახელები) ცილისწამებისაგან,
ყოვლისაგან ჭირისა და უეცარი სიკვდილისაგან.

შეიწყალენ შვილნი ჩემნი ჟამთა დღისათა, განთიადისა და მწუხრისა
და ყოველთა ჟამთა შინა, მძინარენი დაიცევ, დაიფარე და შეზლუდე.
დაიცევ შვილნი ჩემნი დედუფალო ყოველთაგან მტერთა ხილულთა
და არახილულთა, ყოველთა ჟამთა და საქმეთა ექმენ შვილთა ჩემთა,
დედაო, გადაულახავ კედლად და მტკიცე შემწედ. ყოვლადვე აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰოი, დიდო მთავარანგელოზო მიქაილ!

შეეწიე შვილთა ჩემთა (სახელები), დაიცევ ისინი ყოვლისაგან ძვრისა,
ცეცხლისა, მახვილისა, ქარისაგან მომსვრელისა და ყოვლისაგან
ბოროტისა და სიკვდილ შემოსილისა წყლულებისა. დაიცევ ისინი, დიდო
მთავარანგელოზო მიქაელ, მხედართმთავარო უფლისაო, ყოვლადვე
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ღელა



გიორგი
ლაშვილი

• „ღელის ჩანვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო - ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყისპირებში, ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯუელად ამოდისოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

იის სიყვარული დედამ შთამაგონა, მან მასწავლა იების სისპეტაჟისა და მშობლიური მიწის სიყვარული, იასავით სპეტაჟი ადამიანი იყო. თვითონაც ხომ პირველი იების ამოსვლის დღეებში გაგვშორდა“.

დაგვიანებული აღსარება

მერაბ ბერაძე

მე აღსარება მსურს ვითხრათ ერთი, ნეტავი ახლა მისმენდეს ღმერთი, მაქვს უამრავი დანაშაული, მინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუვლი.

უპირველესად ცოდვა მაქვს დედის, აი, მისეზი წრემლის და სევდის, ვერ მოვეუფერე, როცა დაბერდა, როცა მიცდიდა ღია სარკმელთან.

გათენებამდე ტანჯვით მელოდა, ლოდინი განსდა მისი ხელობა, მე სხვაგან ლაღი და სიტყვაუსვი, დედასთან ვიყავ მუნწი და უტყვი.

იშიმშილა და იტანჯა ჩემთვის, გასამართლებლად აბა რა მეტყმის, მაგრამ მე მაშინ ვერ ვგრძნობდი ამას, იგივეს ვეტივი დაღუპულ მამას.

მეგონა მუდამ იქნება ასე, რამდენჯერ შევცდი ცხოვრების გზაზე, ავი ვითხარით ცოდვა მაქვს ბევრი, ამიტომაც მდის მდულარე წრემლი.

მონანიება შორი ვხით მოდის, ვუვლაფრისათვის მოვიხდი ბოდის მავრამ ვაი, რომ არის გვიანი, რა მწარედ ცდება ადამიანი აი, ამიტომც მოვმართავთ ყოველს, სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!

მაგრამ თუ უკვე ცოცხალი არ გვავთ, იქ რომ დაადგეთ სხივი ნათელი, ნუ დაიზარებთ, დედ-მამისათვის, დაანთეთ თუნდაც ერთი სანთელი!



და ჰა... დედამინამ ზამთრის ძილს თავი დაა-
ლნია, თვალეზი მოიფშენიჭა, ღმერთს მადლობა
შესწირა და სახეზე ღმილ-გადაფენილმა ღრმად
ამოისუნთქა.

— კიდევ ერთი გაზაფხული!... საკინძე
შეიხსნა, გულ-მკერდი ძალუმად მოკაშკაშე
მზის სხივებს გადაუშალა – გამათბეთ,
ჩემს წიაღში ჯადოსნური გაზაფხულის
მახარობელ პანანინა ყვავილებს ბოლქვებზე
მოეფერეთ, ზედაპირი შეუმსუბუქეთ და
ამოსვლაში დაეხმარეთო. მზემაც ისმინა
მინის ვედრება და სულ მალე ზღაპრული,
შეუდარებელი სილამაზით აღვსილი ხალიჩა
გადაგვიშალა თვალწინ: — თავმომწონე
ნაზი იეზი, ფურისულები, ყოჩივარდები,
ენძელები... ერთმანეთის დობილებმა პირი
შეჰკრეს და მშვენიერების საგალობელი
ფერწერული ტილოს სახით მოგვიქარგეს.

ეს მარტის თვეა. რიცხვი 15. გამთენიისას
უამრავ სხვა უმანკოებას შორის ერთი
კვერცხუჯრედიც გატყდა, ჩვილმა დედის
მუცელსთავიდააღწია დასამყაროს დაბადება
გამაყრუებელი ტირილით ამცნო. გოგოა, გოგო,
იძახის ბებია ქალი. რამხელაა, შესძახა მედდამ.
სიგრძე 52, წონა 4,50, ჯანმრთელია რაც მთავარია...
შელაპარაკობენ ერთმანეთს მედიკოსები და
ბავშვს ჭიპლარს უმუშავენ. უხარია დედას, დღეს
ხომ მისი დედობის ნათლობაა. უხარია ოჯახს,
რომელსაც პირველი შვილი შეეძინა. სახელი მყისვე
მოიფიქრეს — ნინო, ბებიის საპატივცემულოდ.

სითბოსა და ალერსში განვლო ბავშვობა, ყველას
უყვარდა, ყველა მას ეფერებოდა, პატარა ნინოც
უფროსების გარემოცვაში მათებურად ცდილობდა
ეაზროვნა. ბავშვობიდანვე უფროსების გვერდით



ყოფნა სიამოვნებდა, ნინა ბებო ხუმრობით ადრე
და მალე დაბერებულსაც კი ეძახდა, სულ დედას
და დედას დასდევდა, სკოლაში მიჰყავდათ
(მასწავლებლები არიან), სწორედ აქ ჩაისახა მისი
მომავალი გზის კვალი, კვალი კალმისა და სიტყვის
სიყვარულისა.

ყოველთვის გამორჩეული იყო. უყვარდა სწავლა,
პასუხისმგებლობა მისთვის უპირველესი გალდათ.



გოჩა გუტაშვილი

50 წლის გავასახეიან

ჰუმანიტარული გონებით გამოირჩეოდა. ტექნიკურ საგნებს მხოლოდ ზრდილობისა და სინდისის გამო სწავლობდა, რასაც დიდ ძალისხმევას ანდომებდა. ამიტომ იყო, რომ მასწავლებლები შრომას უფასებდნენ კიდევ. ფიზიკის პედაგოგმა, ბატონმა ფილიმონმა ერთხელ შუბლზე აკოცა და უთხრა: შენს ქართულ შუბლს ვენაცვალეო.

ისიც მომხდარა, ფიზიკის კაბინეტში შემავალ გოგონას, საკლასო ოთახის კარზე მიწერილი ორ ტაეპიანი ლექსი დახვედრია, „ნინოო, ალვისტანისა, ხუთიანები გვშენისა“, შენი მასწავლებელი.

თითით საჩვენებელი იყო. ყველა აქებდა, აქტიურად ცხოვრობდა, პედაგოგები ათამამებდნენ, დედას მშობელთა კრებაზე მისვლა უხაროდა. იცოდა, რომ შვილის სიკეთე უნდა მოესმინა.

ასე წარმატებულად დაამთავრა საშუალო სკოლა და საოჯახო სათათბირომ მისი მომავალი პროფესიაც გადაწყვიტა, ნინო ფილოლოგი უნდა გამხდარიყო. მამამ სთქვა, თავს მოვიკლავ და ნინოს არაფერს მოვაკლებ, ყველანაირად ხელს შევუწყობ, რომ ეს მონდომება და შრომა წყალში არ ჩაეყაროსო.

1988. აგვისტო. მისაღები გამოცდები. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში სხვა აბიტურიენტების მსგავსად ღელავს ნინოც.

ბავშვები სიებს ელოდებიან. კითხულობენ და ზოგი სიხარულისგან ჰაერში ფრენს, ზოგი კი მცდელობის მიუხედავად თავის სახელს და გვარს სიაში ვერ პოულობს. გაუჭირდა ნინოს, ქულა არ ეყო, რუსული კარნახი სათანადოდ ვერ ჩააბარა. აღელვებულმა მშობლებმა ატირებულ გოგონას ხელი სტაცეს და იმ ღამითვე სოხუმში გაემგზავრნენ. მეორე დღეს სოხუმის უნივერსიტეტში საბუთების მიღება მთავრდებოდა, ორ დღეში კი გამოცდები უნდა დაწყებულიყო. ნინო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აქედან დაიწყო მისი შემოქმედებითი ცხოვრება. ოჯახთან და ორ პატარა შვილთან ერთად სწავლობდა, მუშაობდა და მუდამ სასიამოვნო ავტორიტეტით სარგებლობდა. ნინომ 18 წელი პედაგოგად იმუშავა, ახლა კი ექვსი წელია უდიდეს საქმეს აკეთებს, მეუღლის დაჟინებული თხოვნით ჟურნალი „რაჭველები“ დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა ეროვნულ საქმეს. სანაქებო კალამი აქვს. მისი შემოქმედება პუბლიცისტური უფროა, ვიდრე ჟურნალისტური. ახლა უკვე 4 წელია მის შემოქმედებას ჟურნალი „სამეგრელო“ დაემატა და დღეს ნინო გამომცემლობის დირექტორია.

ნინოს ბედნიერი ოჯახი აქვს. ჰყავს მეუღლე გოჩა გუტაშვილი, რომელსაც 8 მარტს 50 წელი შეუსრულდა, გოჩა ეროვნული მრწამსისა და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანია. უყვარს პოეზია და იცის ქართული სიტყვის მაღლი. არის გამორჩეული თამადა. იგი ჩვენი დიდი ოჯახის პირველი სიძეა, გვიყვარს და პატივს ვცემთ. გიგა და დათო მისი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავები არიან, ამბობს ჩემი ცხოვრება ჩემ შვილებს ეკუთვნისო.

ნინო სანიმუშო დედა, სამაგალითო დიასახლისი და საიმედო მეგობარია.

ქალი, რომელიც ღმერთმა გაზაფხულის გამოფხიზლებისას აჩუქა უფალმა სამყაროს.

ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს გაზრდილ გოგონას, ახლა კი დიდ ქალს, ბედნიერ დედას და ჩემს საყვარელ სიძეს, გოჩას.

გილოცავთ დაბადების დღეებს, მარტის თვე მართლაც თქვენი ოჯახის დღესასწაულია. გისურვებთ ჯანმრთელობას, რომ ღირსეულად განაგრძოთ ის უდიდესი საქმე, რასაც დღემდე აკეთებთ.

გისურვებთ ბედნიერებას!
თქვენი ეთერი დეიდა.

თიარ ჩიკვილაძე
ონი. შაუხნის საჯარო სკოლის
დირექტორი

ხოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსანონებელი?!



ილია ჭავჭავაძე

ქართველნი დედაკაცნი, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართნა, მაგრამ პირველ სიტყვაზედვე ძალიან შევფრთხი, შევლონდი: აქ დედაკაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლენი, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შევშინდი, ვაი თუ ეს სახელი ითაკლოთ, იუკადრისოთ, გვინყინოთ. ვაი, რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!

ლეკვილომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია - ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხკაცი. მართალია, სწორია ერთია. ამას ჰმონმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰახდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას - „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთი სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით, არსება კი ერთია, ორნივე კაცნი ვართ, ორნივე ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა ვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად ნოდებულნი იყოს.

ამკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც

კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციო, გვეუბნება ჩვენი ენა და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისთვის, რომელის სქესისაც გინდა იყოს!

ჩვენი მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნი თუ გათხოვილნი, შეირჩინეთ ან შეგარჩინეთ კი ყოვლად პატიოსანი, მაღალმნიშვნელოვანი სახელი დედაკაცობისა? ვაი რომ არა!.. ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება სანყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა და დადნა სახელიცა. დღეს დედაკაცი კი არ არის, ქალია. მთა ბეჟად გადაიქცა, მუხა ლელმად, ზღვა წყაროდ, ადამიანი პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედაკაცობა და სად ქალობა! დღეს „დედაკაცი“ მდაბიოთა სახელიდაა, თითქოს „კაცი-დედა“ მარტო მათრა შერჩენიათ. დღეს დედაკაცი რომ თავადის ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს“ უწოდოთ, გინყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: „მე ქალი ვარ და არა დედაკაციო“, თითქო ქართული „დედაკაცი“ და რუსული „ბაბა“ ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსანონებელი?! „დედაკაცი“, ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი, „ქალად“ დავადნეთ...

ქალი თუ დედაკაცი

ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ! ეს რას ჰნიშნავს, წინსვლას, თუ უკან დანევას? აბა დაუკვირდით, დაუფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმანვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულებს სულითა და ხორციით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისე ქალიან ვაჟი ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ისევე მოზარდია, კაცი უკვე გაზრდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვანობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვანებაც სულისა იმიტომ, რომ მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. სხვა ყველაფერი მარტო ქალვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდაც ორივენი ას-ასის წლისანი იყვნენ და შვილებგარშემორტყმულნი. ქალი გასათხოვარია თუ გათხოვილი, შვილებიანია თუ უშვილოა - მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს დედაკაცობამდე და სანამ არ მიუღწევია, იქი ქალია და არა დედაკაცი.

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს - „დედაქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - „დედაბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს - „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი - „გუთნისდედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავლგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსანონებული!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა?! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“!

ამიტომაც „დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ - ვაჟამდე ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კი-

დედ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოვიდეს. იმას კიდევე მიეკერება სახელი კაცისა - „ვაჟი-კაცი“, ქალს კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნება იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და ვერ ატარებს, ვერ ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდ ეგეც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიდაა და თითქო არა კაცი. სად ქალობა და სად დედაკაცობა! ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო წაღკოტია, დედაკაცისთვის სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, საომარი ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!

ვაი რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ, აღარ გვეყვანან და „ქალებილა“ დაგვრჩენენ და ჩვენის ფიქრით, ესაა სხვათა შორის სათვე ჩვენის უბედურებისა.

ღეღა

ბოდბეძი ჩოხელი

ღეღი,
რადღაც არ მასვენებს, ალბათ, ღმერთის წამ-წერა,
ღეღი,
როგორ შემოგკადრო შენზე ლექსის დაწერა?!
ღეღი,
ღმერთმა იცის, რაც უნდა ვუოფილიყავ,
ღეღი,
ალბათ, ამიტომაც შენთან უოფნა დამწერა.
ღეღი,
როგორ გიღალატო, როგორ დაურჩე ამქვეყნად,
ღეღი,
ღმერთს რომ შეუუყვარდე, აქ რომ მთხოვოს დაჩენა...
უკვდავება რომ დაიწუოს,
ღმერთს მოსურდეს აღწერა,
არ გეწუინოს, ღმერთს უფიცავარ,
ღმერთს დაუტოვებ ნაწუენად.
ღმერთის მჯერა, ღმერთი მიუვარს,
მაგრამ ერთის არ მჯერა:
სადღაც შენ არ მეგულები, იქ არ მინდა დაჩენა.



ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება ყოველი წლის 8 მარტს. ეს არის ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაული. პირველად იგი 1909 წლის 28 თებერვალს აშშ-ში ამერიკის სოციალისტური პარტიის დეკლარაციის შემდეგ აღინიშნა.

ამ დღეს მომხდარ ისტორიულ მოვლენათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი, რომელმაც მოძრაობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახადა ცნობილი, იყო „ტრაიენგლ შირტუისტი“ (თრიანგლუ შირტუისტი), საფეიქრო ფაბრიკაში მომხდარი ხანძარი (ნიუ-იორკი, 1911), სადაც 140-ზე მეტი ქალი დაიღუპა.

იდეა ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღნიშვნისა თავდაპირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიბადა, სწრაფი მსოფლიო ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური ექსპანსიის ეპოქაში, რომელმაც მასობრივი პროტესტები გამოიწვია მუშათა აუტანელი სამუშაო პირობების გამო. ერთ-ერთი პირველი ასეთ პროტესტთაგანი იყო ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალთა გაფიცვა 1857 წლის 8 მარტს. მათი პროტესტის მიზეზი ძალზე მწირი ხელფასი და გაუსაძლისი სამუშაო პირობები იყო. ქუჩაში გამოსული გაფიცული ქალები პოლიციის მიერ დარბეული იქნა. ორი წლის შემდეგ იმავე თვეს სწორედ ამ ქალებმა დააარსეს პირველი პროფკავშირი.

მომდევნო წლებში 8 მარტს უფრო მეტი და ფართომასშტაბიანი პროტესტები მოჰყვა. 1908 წელის 15.000 ქალბატონი გამოვიდა ნიუ-იორკის ქუჩებში მოკლე სამუშაო დღის, უკეთესი ანაზღაურებისა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოთხოვნით. 1910 წელს კოპენჰაგენში ჩატარდა პირველი ქალთა საერთაშორისო კონფერენცია სოციალისტ-ინტერნაციონალის მიერ. ამ ყრილობაზე დაფუძნდა ქალთა საერთაშორისო დღე გავლენიანი გერმანელი სოციალისტი კლარა ცეტკინის ინიციატივით. მომავალ წელს ამ დღეს ქალთა სოლიდარობის მიზნით მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ავსტრიაში, დანიაში, გერმანიაში და შვეიცარიაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ქალები მთელი ევროპის მასშტაბით სამშვიდობო მსვლელობას აწყობენ 1913 წლის 8 მარტს.

1965 წლამდე ის მაინც სამუშაო დღედ ითვლებოდა. 1965 წლის 8 მაისს სსრკ-ის უზანაესი საბჭოს პრეზიდიუმი ბრძანებულებით ქალთა საერთაშორისო დღე უქმე დღედ გამოცხადდა.

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირების გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციას ბრიტანეთში ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადებას.

ამჟამად ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობები მსოფლიოს გარშემო ყოველწლიურად 8 მარტს მრავალ ღონისძიებას ატარებენ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა და ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალთა საერთაშორისო დღეს და მისდამი ინტერესი დღითიდღე იზრდება.



**მზის
სამყაროს**

მადლიერი მკვლევარი

გაზაფხულია მის თვალეში, მორაკრაკე მთის წყაროსავით ანკარა მისი სული, სული, რომელიც შვილის უბედურებამ დაამძიმა, მაგრამ სიბნელსა და სიყვარულს ვერა დააკლო რა.

ქალბატონმა მზის ამბროლიანმა კარგად იცის ადამიანების სულის გასაღები, სული გულს უსმენს და გული გონებას. იგი ღვთიური საჩუქარია პარენტიზის მოვლენილი.

დადის ქალბატონი მზის და თესს მადლს, აფრქვევს კეთილშობილებას, უამრავ შეჭვივრებულს კურნავს და ყოფას უმსუბუქებს.

უყვართ, პატივს სცემენ და აფასებენ. რაჯველებსთვის მზის ამბროლიანი საამაყო შვილი, ღირსეული დედა და ბებიაა. მადლი მის გამჩენს და დედანუნებას ვინც ამ სხეულში ღამაში სული ჩააქსოვა.

გილორავთ გაზაფხულის შემობრძანებას, ძვირფასო ქალბატონო.

პირველი ტოლის, ჭრებლოს, უოშისა და ჭყვიშის მკვიდრნი.
ამბროლიანის მუნიციპალიტეტის გამგეობა.



გაზაფხულის მეჭლისი რეჟისი

მზის სხივებს დახარბებული უკვე მერამდენე თვეა გონებაში ითვლიდა დღეებს, საათებს და წუთებს, როდის ამონედა თავს მინიდან ლორთქო ბალახი და ჰაერი მცენარეთა სურნელით გაიჟღინთებოდა.

ბორგვა, ხვნემა და ტრიალი ფიჭვის საწოლში. მას მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა სანუგეშო, როდის დააღწევდა თავს ზამთრის ყინვას და თბილი მინის დახეთქილი ნაპრალებიდან ამოჰყოფდა თავს.

დიახ, ყოველდღე ერთი და იგივე რუტინული ქმედება უკვე მოსაბეზრებელი გახდა... დილით ზამთრის ძილს მიცემული თავს ასწევდა, ნაირფერ სამოსს შეისწორებდა და კვლავ თავის სამყოფელს, დამზრალ მინის წიაღს უბრუნდებოდა. მაინც სცივა. მოსაბეზრებელია ეს ყველაფერი, ჩაილაპარაკა თავისთვის. გაზაფხული იგვიანებდა ამ წელს...

ახლა მხოლოდ იმედით საზრდოობდა. გაზაფხულის მოლოდინი ხის ჭიასავით უღრღნიდა გულს.

მას რაღაც იდუმალი ხმა შიგნიდან ამშვიდებდა: მოვა, დაელოდე მოვამო...

დილით, ალიონზე, ხის აივანზე ჩიტების გუნდი შეკრებილიყო და დილის „არიებს“ ასრულებდა. სადღაც შორიდან მამლის ყვილი თითქოსდა ბანს აძღვედა მათ და ეს საოცარი „ორკესტრი“ გაზაფხულის მოსვლას მეჯლისობდა...

ძილბურანში ეგონა თავი, ელდანაკრავივით ამოჰყო თავი მინიდან და თვალი ჩაუკრა სამყაროს. მის სულში შემოიჭრნენ ზეციურად უჩვეულო პატარა ჩიტბატონები და ვიოლინოს სიმებივით ააკვნესეს მისი სევდიანი გული.

ოჰ, არა! არა! ისინი გაფრინდნენ... ილიმოდა, ის გაზაფხულს უღიმოდა. უსასოოდ პატარა ყოჩივარდას მოჰკრა თვალი ღობის ძირში რომ იწონებდა თავს. გაზაფხულის პირველი მერცხალი კი საკვამურზე ლალად შემომჯდარიყო და ჟივილხივილით იკლებდა მიდამოს...

ეს გაზაფხულის მეჯლისია, ეს სამყაროს მშვენიერების სიმფონიაა, რომლის აკორდიც ბუნების სასწაულებრივი ქმნილება, ქალი გახლავთ. განა გაზაფხულის ლიბრეტოს





ნელი მონონელიძე

პროლოგი ქალი არ არის? — სიცოცხლის დედა, ცხოვრების ძირი და საძირკველი, დედა — სამყაროს სული და ნეტარება... 3 მარტი... 8 მარტი... ეს ხომ ქალბატონების კიდევ ერთი საამებელი კალენდრის ფურცლებია.

ახლა კი რაჭისკენ გადავინაცვლოთ... თვალის გადავლებითაც სჩანს რაოდენ სპეტიკი გარემოა, ადამიანები რაფინირებული სულით, მზიური გულით და მიამიტი თვალებით გაუნყებენ ადგილის დედის სიტბოს, მსგავსად მისი მოდარაჯე ცადამწვდომი მწვერვალებისა აქ სულის სინმინდისა და სიმტიკის ნავსაყუდელია. ეს თაობიდან თაობას გენეტიკურად გადაეცემა და ამ ყველაფრის შემომქმედი ქალი გახლავთ... ქალი, ვინც აღზარდა თაობები და საზოგადოება ჩამოყალიბდა.

თქვენს ყურადღებას ღირსეულთა შორის ღირსეულ ხუთ ქალბატონზე შევაჩერებ, რომელთაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა რეკომენდაცია გაუწია და მათი ვინაობა ჟურნალის რედაქციას ამცნო.

მათ შორის ორი პედაგოგია. ქალბატონები, რომლებმაც ოთხ ათეულზე მეტი წელია თაობების აღზრდას მიუძღვნეს, ამბობენ ქალისთვის ბედნიერების საზომი ერთეული ოჯახი და კარგი ქმარ-შვილიაო, რაც პროფესიულ ბედნიერებას შეეხება, მოსწავლის სიყვარულით ანთებული თვალებით ცქერას არაფერი სჯობს. იმასაც ამბობენ, რომ პედაგოგი უამრავი შვილის დედაა, დედობა კი ყველაზე ღირსეული და რთული პროფესიაა. ქალბატონები

ნელი მონონელიძე და **ბელა იაშვილი** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭრებალოს საშუალო (ახლა უკვე საჯარო) სკოლის პედაგოგები იყვნენ. ქალბატონი ნელი ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა, ორი შვილი ჰყავს ილია და ვანო კენჭაძეები, ორი შვილიშვილი.

ქალბატონი ბელა კი ამავე სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მასაც ორი შვილი ჰყავს; თემური და მათა გორდუზიანები და ოთხი შვილიშვილი.



ბელა იაშვილი

ლამაზად შვილის გამზრდელო, ვამბობთ და უმაღვე **ლილი გაგოშიძე** გვახსენდება. პროფესიით ქიმიკოსი, წლების მანძილზე ამბროლაურის განათლების განყოფილებაში მუშაობდა. კარგი შვილის დედა, ღირსეული ქალბატონი, ერთგული მეგობარი. ვაჟი, ზაზა მეტრეველი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თანამშრომელია. შვილიშვილი ლექსო მეტრეველი კი წარმატებული მოჭადრაკე, ნიჭიერი ახალგაზრდაა. ქალბატონი ლილი დღეს უკვე ხანდაზმულია, სოფელ სხვაგაში ცხოვრობს.

ეს ქალბატონები დამსახურებულ პენსიაზე არიან, დამსახურებულს ვამბობ, არა ფინანსური კუთხით, არამედ მათი ღვაწლის გათვალისწინებით. მათ ოთხ ათეულ წელზე მეტი მოსწავლეთა წვრთვნასა და განვითარებაში განვლეს, უამრავი აღზრდილი ჰყავთ ირგვლივ მარგალიტებივით მიმოფანტული. მათი სახელები უკვდავყოფილია. თითოეული ჩვენგანის პიროვნებას ხომ ჩვენს მიერ განვლილი გზის შემოქმედი ასახავს. მათი ცხოვრების გზა უდავებისთვის არის განწირული მხოლოდ!

ვინ არის ქალბატონი **ჰენერა გაგოშიძე**? — ამბობს ყველაფერი გავაკეთე, გარდა ჩემი პირადი ცხოვრების უზრუნველყოფისა — გული მწყდება, რომ ქვეყანას ჩემი გაჩენილი შვილი ვერასგზით ვაჩუქე, მაგრამ მე მყავს დისშვილები, ძმისშვილები, რომელთაც თავი მივუძღვენი და ძალას არ ვიმურვებ, რომ ის, რაც ჩემი შვილებისთვის უნდა შთამენერგა მათ აღზრდაში ჩავდე, ვთესავ და ვიმკვი კიდევ, ღვაწლი მიფასდება, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი



ვენერა გაგოშიძე

და დიდი ოჯახი მაქვს, ოჯახი, რომელსაც დეიდობა და მამიდობა განსაზღვრავს.

ასე გადმოგვცემს ქალბატონი ვენერა თავის გულისნადებს, თუმცა ოჯახის გარდა აღსანიშნავია მისი ავტორიტეტი რაიონში, ყველას უყვარს, ყველა აფასებს, პატივს სცემენ მის ინტელექტს, ის ხომ წლების მანძილზე სწორედ ინტელექტუალურ სარბიელზე იღწვის – ქალბატონი ვენერა ბიბლიოთეკარია და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის I ტოლაში ცხოვრობს. ბედნიერია მაშინ, როცა ყველანი კარგად ჰყავს. ემადლიერება რძალს მანანა ქუჩიშვილს, რომელიც თბილისში ვეკუას სახელობის სკოლაში მათემატიკას ასწავლის. ამბობს, რომ ყოველ რვა მარტს საჩუქრებით ანებივრებს. ქალბატონი ვენერაც ორმოც წლიანი საზოგადოებრივი ფერხულის ერთ-ერთი ოქროს მემკვიდრეა.

დალი თავიდაშვილი –

ქალბატონი, რომელიც არსად მუშაობს, დიასახლისია, მაგრამ თავის ოჯახის გადასახედიდან, მაღალმთიანი

სოფელ მეორე ტოლიდან გადმოსცქერის ქვეყნის ბედს, გული სტკივა და აქტიურად იბრძვის უკეთესი მომავლისათვის. მინდა ჩემს შვილებს უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ, - ამბობს ქალბატონი დალი და ყურადღებას ლევან ვასაძის პიროვნებაზე ამახვილებს: - ეს კაცი ღმერთმა საქართველოს ჭირისუფლად მოგვივლინა, მომწონს და მხარს ვუჭერ მის აზროვნებას, მისებრი ვაჟკაცები რომ ბევრი გვყავდეს, ქვეყანას უფრო მეტად ეშველებოდა.

ამბობს ქალბატონი დალი, რომელიც ორ შვილს უზრდის ქვეყანას, ისინი სტუდენტები არიან: - მე ჩემს შესაძლებლობებს რეალიზაცია ვერ გავუკეთე, მინდა ჩემი შვილები წარმატებულები იყვნენ, ეკონომიკურად მიჭირს, მაგრამ უფალი მაძლებინებს, რომ შვილებს უმაღლესი განათლება მივცე, - ამბობს ქალბატონი დალი, სამაგალითო დედადასანიშნავი ქართველი ქალი, რომლისთვისაც საკუთარი აზრის გამოხატვა სულიერი შვებაა, ის ფიქრობს, რომ ქალებს აქტიურობა ისტორიულად მოგვდგამს. დედებმა უნდა თავდადებით ვიღვანოთ ჩვენი შვილების კეთილდღეობისათვის.

ძვირფასო მკითხველო, ეს ის ხუთეულია რომელიც ერთი თვალის გადავლევით მხედველობის ცენტრში მოექცა, თორემ რაჭა, კარაქო და ამბროლაური ნიჭიერების, სულიერების და ზნეობის აკვანია. ამ რა გამოლევს სიკეთეს, ღვანდს და დამსახურებას.

აფარუმ თქვენს ქალობას, აფარუმ თქვენს დედობას, ჩემო ძვირფასო რაჭველო ქალბატონებო, სავტაპი მთების სანუკვარო ბინადარნო, რამეთუ თითოეული თქვენგანი მკიბე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ინარჩუნებს ქართველი ქალის შუადრებალ ნიშან-თვისებას; პატიოსნებას, კეთილშობილებას, სულის სიმრთელესა და სულგრძობას. მრავალ გაზაფხულს დაინდართ, ძვირფასო ქალბატონებო, ულაგაზისი რაჭის უმშვენიერესო სამშვენიესნო!

მარადიულ გაზაფხულებას გისურვებთ, მრავალწამიერ!



ვან კლიბურნმა ზურაბ კირვალიძის ნოტები ამერიკაში წაიღო

ზურაბ კირვალიძე სხვაგვარია, ამბროლაურის რაიონიდან. თექვსმეტი წლის იყო როდესაც თბილისის 52-ე საშუალო სკოლის შვიდი კლასი დაამთავრა და სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო. თვრამეტი წლის ჭაბუკმა ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული გუნდების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები გაიარა და ინდუსტრიულ ტექნიკუმშივე ჩამოაყალიბა გუნდი, რომელშიც სამოცი მოსწავლე მონაწილეობდა.

1943 წელს თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 150-კაციან მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა. სამი წლის შემდეგ აბრეშუმის ფაბრიკის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელობა დაეკისრა. მომდევნო წლებში ხელმძღვანელობდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ და 124-ე საშუალო სკოლის გუნდებს.

გარკვეული პერიოდი თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ კომბინატთან არსებული გუნდისა და 124-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდს ხელმძღვანელობდა.

ჩვიდმეტიწელი (1945-1962) საქართველოს ხალხურისიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტი-მომღერალი იყო და პირნათლად ემსახურებოდა თავის საქმეს.

1947 წლიდან საქართველოს ფილარმონიის სოლისტი იყო და თავის დასთან – ელენე კირვალიძესთან ერთად ფანდურის თანხლებით ასრულებდა როგორც ხალხურ, ასევე საკუთარ მელოდიაზე შექმნილ სიმღერებს. შექმნა 50-მდე სიმღერა, რომელთაგანაც ბევრს მომღერალთა სხვადასხვა გუნდები ასრულებდნენ. მისი „მწყემსური“, „მისალმება“, „ქალ-ვაჟის გასაუბრება“ სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარშია შესული, „მწყემსურის“ ნოტები ცნობილმა ამერიკელმა პიანისტმა ვან კლიბურნმა თან წაიღო ამერიკაში.

იყო საქართველოს პირველი და საკავშირო მეექვსე ფესტივალების ლაურეატი. დააჯილდოვეს მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

1962 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო ნობელი.



მოჯაბაგირიოებიდან ღობარობაზე

ვასო კობახიძე ბიძაშვილმა ნიკორწმინდიდან თბილისში ჩამოიყვანა და გენეს საკონდიტროში მოჯაბაგირედ დააყენა. ვასომ საკონდიტრო საქმე კარგად შეისწავლა და თბილისში დამკვიდრდა.

ცხრამეტი წლის ასაკიდან მიხილ კავსადის გუნდში მღეროდა. ცეკვები პედაგოგ ა. ალექსიძისაგან ისწავლა და განაფული მოცეკვავე დადგა.

თითქმის ათი წლის განმავლობაში მღეროდა მარო თარხნიშვილის გუნდში, თან გუნდის ადმინისტრატორიც იყო.

1927 წლიდან ნება დართეს შეექმნა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მომღერალ-მოცეკვავეთა წრე. გასინჯეს და ნება დართეს ესტრადაზე გამოსულიყო და ემუშავა როგორც სამხატვრო

ერთეულს. მომდევნო წლებში კონცერტებს მართავს ჯერ მუშათა კლუბებში, ხოლო შემდეგ – ფართო აუდიტორიის წინაშეც.

მონაწილეობს მეოთხე და მომდევნო რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და რეპერტუარის ორიგინალურობის და რაჭული საფერხულო სიმღერების სილამაზისა და დახვეწილობის წყალობით ჯილდოებსაც იმსახურებს.

შესანიშნავად წარდგა სოფელ ასურეთის (თეთრი წყაროს რაიონი) მოსახლეობის წინაშე, სადაც მრავლად იყვნენ რაჭიდან გადმოსახლებული გლეხები. რუსთავში ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს მეტალურგ მუშებს ჩაუწერდა ქართული სიმღერის სიყვარული.

აღაიანი, როგორც სახლის დაკარგა და კაცის, ჩვენს მხარდაჭერას საჭიროებს!!!



ზელიმხან მაისურაძე

რედაქციაში რესპონდენტმა დარეკა.

— გისმენთ, ვპასუხობთ.

— **ზელიმხან მაისურაძე განუხებთ. თქვენი აქტიური მკითხველი, პატივს ვცემ თქვენს შემოქმედებას, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი კუთხე, ჩემი რაჭა, მიყვარს და მტკივა, რომ დღეს ყველასგან მიტოვებული და მიუსაფარია. მასზე არავინ ზრუნავს.**

ქალბატონო ნინო, გთხოვთ მომცეთ რაჭის ალორძინების ფონდის რეკვიზიტები, მინდა ჩემი პენსიიდან 20 ლარი მაინც ჩავრიცხო, მეტი საშუალება არა მაქვს, რუსთავის მოხუცთა თავშესაფარში ვცხოვრობ.

ამ შინაარსის სატელეფონო ზარმა მეტად აღმაშფოთა. მსგავსი რამ ჯერ ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში არ მომხდარა. რაჭას უამრავი შეძლებული ადამიანი ჰყავს, თუმცა საერთო საქმისთვის ფულის დახარჯვა არავის უნდა. სირცხვილია, როდესაც სრულიად განადგურებული, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი სხვის დახმარებაზე ფიქრობს, მდიდარი რაჭველები კი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით არიან დაკავებული. ეს რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე იყოს, მაგრამ უმრავლესობით თუ განვსაზღვრავთ ფაქტი

უტყუარია. ასე რომ არა, კეთილი საქმის კეთებას სურვილის შემთვევაში წინ რა დაუდგებოდა?

რაჭა-ერთი პატარა რეგიონია, საკმარისია მონდომება, ფინანსურად შეძლებული ადამიანების დარაზმვა და საქმეც წინ წავა, ამ ყველაფერზე შემდგომში ვისაუბროთ. ახლა კი ვინ არის ზელიმხან მაისურაძე!!!

წარმოშობით ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ირის მკვიდრია, წლების მანძილზე ქ. რუსთავში ცხოვრობს. ყველა იცნობს, პატივს სცემს, როგორც ალალ მართალ, პატიოსან, კეთილშობილ ადამიანს. 1976-78 წლებში სამუშაოდ დაღესტანში გაემგზავრა. ეს ის პერიოდია, როდესაც ზვიად გამსახურდიაც იქ იმყოფებოდა. ზელიმხანი მასთან დაახლოებული პირი ყოფილა. თავისებური კაცი იყო, ამბობს, მხოლოდ ორ ადამიანს, მე და ჩემს მეგობარს გვეკონტაქტებოდა, ჩაკეტილი ცხოვრება ჰქონდა, — იხსენებს ზელიმხანი. მოხდა ისე, რომ იქ

**მოხატა თავშესაფრის
ბინადარი ხაჭის ბადახ-
ჩენის ფონდში თანხის
ჩაჩისხვას ფიქრობს.**

სამუშაო დასრულდა და ზელიმხანი საცხოვრებლად მშობლიურ ქ. რუსთავში დაბრუნდა. ერთ დღეს მისი ძმა მივიდა და დახმარება სთხოვა, — ძალიან გამიჭირდა, იქნებ სახლის საბუთები მომცე, ბანკში ჩავდე, ცოტას ამოვისუნთქებ და უკან დაგიბრუნებო. ზელიმხანმა ცხადია საყვარელ დედამამიშვილს, ღვიძლ ძმას უარი ვერ უთხრა და სურვილიც შეუსრულა. ეს იყო და ეს! სახლი ბანკმა მიითვისა, მდგომარეობით დამძიმებულმა ძმამ ნერვიულობას ველარ გაუძლო და გული

გაუსკდა, დარჩა ზელიმხანი ღია ცის ქვეშ, უკვე პენსიონერი, შვილი დაღესტანში ჰყავს, მეუღლე ჩეჩენი ქალბატონი გარდაიცვალა, ზელიმხანი კი ნებსით თუ უნებლიეთ მოხუცთა თავშესაფარის ბინადარი გახდა. არც ირში აქვს წასავლელი, სახლი დაზიანებულია.

აი, ამ მდგომარეობის ადამიანი საერთო საქმის ფერხულში ჩაბმას გეგმავს. საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ავლელვდი, ამ ყველაფრის მოსმენა იოლი არ იყო. რა მექნა, მე რა შესაძლებლობა მაქვს, რომ მას დავეხმარო, ჩემს მიერ რაჭაზე გამოცემული წიგნები ვაჩუქე და შევპირდი, რომ მის შესახებ ინფორმაციას ფართო მკითხველს გავაცნობდი, იქნებ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ პირიქით, აქეთ დაინტერესდნენ თუნდაც რაჭის გადარჩენისა და აღორძინების ფონდი ან ნებისმიერ სხვა რაჭველი, ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია საკუთარი კუთხისა და ხალხის

სიყვარული და პატივისცემა, დღეს ეს ბატონი სულიერად ძალიან დამძიმებულია. შეიძლება სახლი ვერ ვუყიდოთ, მაგრამ სხვა მრავალი ფორმა არსებობს მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ნებისმიერი ფონდი თუ ქველოქმედება სწორედ რომ ამ მიმართულებით უნდა დაიხაჯოს.

ძვირფასო მკითხველო, ვფიქრობ ჩემი ნაამბობი უკვალოდ არ ჩაივლის, მოდით ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და გადავარჩინოთ ამ ადამიანის სიცოცხლე, ისე არ გამიგოთ, რომ ზელიმხანი თავად ითხოვს დახმარებას. მე, როგორც ქალს, გამიჭირდა ყოველივე ამის მოსმენა, ალბათ თქვენც იგივეს განიცდით. დარეკეთ რედაქციაში, ვიმსჯელოთ, რა შეიძლება გაკეთდეს, ველოდები გამოსხმაურებას!

რედაქტორი
ნინო რახვიაშვილი



მთის რაჭის ეკლესიები უმთავრესად უოღის ნ. გიორგის ეკლესიის ბერების მიერ გაეოჭადილი ჯვარ-საგებობით ყოფილა შეგებული

**რას წარმოადგენს კრიალოსანი და
საიდან ჩნდება ღებელთა ლექსიკონში
მეგრული სიტყვა „სარალო“**



საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, რიონის სათავის მაღალმთიანი ხეობის სასაზღვრო ზოლში საუკუნეების განმავლობაში მტრისთვის შეუვალ და ურყევ დარაჯად მდგარი ისტორიული სოფლები ლები, ჭიორა, გლოლა არა მარტო საბრძოლო და თავდაცვითი ციხე-კოშკების სიმრავლით გამოირჩეოდა, არამედ მე-15 საუკუნემდე სვანეთის მთიულეთის ამ მხარეში (დღევანდელი მთის რაჭა), მამა-პაპური ტრადიციებითა და საგანძურებით მდიდარი საეკლესიო ცხოვრებითაც იყვნენ ცნობილი და მნიშვნელოვან მართლმადიდებლურ რელიგიურ ცენტრებსაც წარმოადგენდნენ ნიქოზის საეპისკოპოსო ეპარქიაში შემავალი.

ლები დამისი სადროშო წმინდა ადგილები: ბრილი, თევრეშო, სათხეულა, შოდა, ველევი, გონა, ჭიორის კვირაცხოველი, მარიამის, შიხორის, ნაციხვარას, მამადავითის სალოცავები და საჯვარეები: გლოლის შხელის ჯვარი, „ზედ ქალაქი“ უძველესი დროიდან წარმართული სალოცავი ნიშებით იყო ქებული, სადაც ჩვენი შორეული წინაპრები მზისა და მთვარის სადიდებლად სიმღერა – საგალობლებს და ლოცვებს წარმოთქვამდნენ: ოჯახის გამრავლების, გვარისა და თემის გაძლიერებისა და ქვეყნის სადიდებლად.

დრო და უამის ხანგრძლივ ბრუნვაში ბუნების უხილავი ძალების წარმართული კერპთაყვანისმცემლობა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რიტუალები და სიმღერა-გალობები ქრისტიანულმა ერთღმერთიანობამ და მისეულმა რელიგიურმა რიტუალებმა და სიმღერა-გალობებმა შეცვალეს. წარმართული ნიშების წმინდა სალოცავ ადგილებზე ადამიანთა სულიერი ამალლებისა და ზნეობრივი მხნეობის ახალ ძალად ქრისტიანული ეკლესიები აღიმართნენ. მათგან ცნობილია: შოდის წმინდა გიორგის, ლების „ციხიკარის“, „ჯვარცმის“, მაცხოვრის, სათხეურას ეკლესიები. „დედაღვთისა“, გონის „მთავარანგელოზის“ ეკლესია, ჭიორის კვირაცხოვლის, წმ. გიორგის ეკლესია.

გლოლის „ზედქალაქის“ ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის ეკლესიები, ბუბის ეკლესია კედლის დიდმნიშვნელოვანი ფრესკული მოხატულობითა და საგანძურით აღესილნი.

მთის რაჭველთა ყოფაში ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში ბიზანტიის გზით შემოსულმა ქრისტიანობამ მძლავრად გაიდგა ფესვები, ძველ მთის რაჭაში იმდენად მაღალ დონეზე ყოფილა ოქრომჭედლობა, საეკლესიო მხატვრობა, ჯვარ-ხატთა დამუშავების საქმე, რომ ხსენებული ეკლესიები, უმთავრესად, შოდის წმინდა გიორგის ეკლესიის ბერების გამოჭედილი ჯვარ-ხატით ყოფილა შემკული. მათი სიდიადე ქართულ საეკლესიო ხელნაწერებსა და და ისტორიულ თხზულებებშიც მოიხსენიება, როგორც მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშები. ეს ხალხური გადმოცემებითაც დასტურდება. ლებელები მღერიან;

**ლეგენდად გვაქვს გაგონილი,
შოდის გულში ქურა ქუხდა,
ხალხი ადი-ჩადიოდა,**

ლების ეკლესიის ჯვარ-ხატნი.

შოდის მთიდან მოდიოდა.

ლების მაცხოვრის ეკლესიის საგანძურთაგან მთავარი ყოფილა ვერცხლით შემკული, მაცხოვრის დიდი ჯვარი, რომელსაც მორწმუნე მთიელები სიცოცხლის ძალას ანიჭებდნენ და ცოცხლად წარმოიდგენდნენ. ლოცვისას მას მიმართავდნენ „მაცხოვარო ცხოველო, გვინანამძღვრე, მოგვეც ძალა და მხნეობა“. ლებელები ჯვარს ლების მარჩენალად მოიხსენიებდნენ.

მრევლი ამ უწმინდეს და სათაყვანებელი მაცხოვრის ჯვარს ლოცვებითა და სიმღერა – გალობით მიმართავდა და შესთხოვდა შველას მისი იმედით, დიდი მხნეობით ატარებდა ნუთისოფელს.

უაღრესად საინტერესოა, დღემდე შეუსწავლელი ქალთა მიერ შესრულებული სიმღერა გალობები, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქალთა საფერხისო სიმღერა „სარალე“.

მისი შესრულების წესი ასეთი იყო: „დედაკაცები ჩაებმოდნენ ფერხისაში, აქედან ერთ-ერთი მათგანი ე.წ. „წინამძღოლა“ გამოეყოფოდა და დაიჩოქებდა, პირს მზისკენ იზამდა, ცალი ხელით მიწას შეეხებოდა, მეორე ხელს სხეულის სხვადასხვა ადგილზე იცემდა და თან მღეროდა, სხვები მის გვერდით მოძრაობდნენ და ყოველი სასიმღერო მუხლის ბოლოს იმეორებდნენ წინამძღოლის ნათქვამს და თან „თავო სარალეს“ დასძახოდნენ.

ვაიმე თავო - თავო სარალეო,

ვაიმე, თვალო – თვალო სარალეო,

ვაიმე, გულო – გულო სარალეო,

ვაიმე, წენო (წელო) – წენო სარალეო.

და ა.შ.

მღეროდნენ შეწყობილად, რიტმში ისმოდა ქალთა საფერხისო სიმღერის სევდიანი მელოდიები. ამ სიმღერა — გალობას, მთქმელთა განმარტებით, თავისი გარკვეული ფუნქცია ახასიათებდა. მის დანიშნულებას წარმოადგენდა მითიურ არსებათა, ანუ ზეარსებათა გულის მოლმობიერებით მათ წინაშე მუხლის მოდრეკა, თავის შეწყალება, სხეულიდან ავადმყოფობისა და ავი სულების განდევნა.

ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს „სარალეს“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც მეგრული „სარალო“-თი აიხსნება, რაც ნიშნავს „შე სანყალო“, „შე საბრალო“, „შე გაჭირვებულო“. შინაარსობრივად ეს გამოთქმები

შეესაბამება ღებურ „სარალეს“ და მის თანმდევი რიტუალებს, აგრეთვე, მთის რაჭველ დედაკაცთა გაჭირვების ჟამს თავის თავზე ვაი-ვიშითა და გულში მჯილის ცემით წარმოთქმულ გამოთქმებს: „შე სანყალო ჩემო თავო“, „საბრალო ჩემო გულო“, „შე გაჭირვებულო“ თავო ჩემო“ და ა.შ.

საკითხავია საიდან გაჩნდა ღებელთა ყოფაში მეგრული სიტყვა „სარალო“ მისი თანმდევი რიტუალებითა და სასიმღერო სამგლოვიარო გამოთქმებით? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ასეთია მეგრული „სარალო“ და მისი თანმდევი ხმები გარედან არ მოსულა, ისინი ადგილობრივია. რომლებსაც შორეულ წარსულში აქვთ ფესვები გადგმული და იმ დროის გადმონაშთები უნდა იყოს, როცა რიონის ხეობის ზემო წელში უძველესი კოლხური ტომები – სვანები და მეგრულ – ზანები მოსახლეობდნენ და ქართული ენა ჯერ კიდევ ერთიანი, დაუნაწევრებელი იყო. რაც არა მარტო ხალხური გადმოცემებით, არამედ მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებებითაც დასტურდება.

ბრილის არქეოლოგიური აღმოჩენებით ეთნოგრაფიული და ტოპონიმიური მასალების მონაცემებით ვიცით, რომ მთის რაჭის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში და უფრო ადრე უცხოვრია ადამიანს, რამდენიმე საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე. დადგენილია იმ შორეული დროის ძირძველი მოსახლეობის ვინაობაც, რაც სვანების და მეგრულ – ზანური ტომების დიდი მასების განსახლებით აიხსნება. (გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრების საკითხისათვის, ბ. გამყრელიძე – რაჭის, როგორც ისტორიულ ეთნოგრაფიული რეგიონის ფორმირების საკითხისათვის, 1999 წ. თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის კულტურის ისტორიიდან. თბილისი 1999, გ. 72).

„სარალესთან“ ერთად არანაკლებ საგულისხმოა და ღრმად შესწავლა – წარმოჩენის ღირსია სიმღერა – გალობა „კრიალეისო“, თანხმლები რიტუალური წარმოდგენებით გამოუხატავთ. მონათესავე გვარები ცალ-ცალკე სამგლოვიარო სიმღერის ხმით ლოცვებს წარმოსთქვამდნენ. კრიალოსნის მძივებით წარმოსთქვამდნენ სალოცავ სიტყვებს, სხვები ბანს ეუბნებოდნენ, რომლებიც დასასრულს დასძახებდნენ „ვიაო“-ს. ასე გრძელდებოდა სანამ სალოცავი სიტყვები არ ჩამოთავდებოდა.

შემთხვევით არ გვიხსენებია მოხუცთა ხელში თითებით საგოგმანები კრიალოსანი,

რომელსაც შინაარსობრივად სიმღერით სიტყვების კრიალოსანის მძივებით ჩამოთვლის გარეგნული შესრულების ფორმით ემსგავსება „კრიალეისო“. იგივებერძნული „კრიალეისონ“ (უფალო შეინყალე), რასაც სამეცნიერო ლიტერატურული ცნობებიც გვიდასტურებს.

ს. ორბელიანის მიხედვით – კრიალოსანი (კრიალესონი) სალოცავად ასხმული მძივებია. „ესე არს ასხმული მძივნი, ანუ ხეთა ნათალნი ძაფითა ზედა, ლოცვისა სათქმელად“.

ამრიგად, ცხადია, რომ სიტყვა „კრიალეისო“ ლოცვით წარმოთქმულ სიტყვებს უკავშირდება, ბერიკაცები ხელში თითებით ათამამებენ ზონარზე ასხმულ ფერად მძივებს ე.წ. „კრიალოსანს“, თან ყოველ მძივს ლოცვით წარმოთქმულ სიტყვებს მიაცოლებდნენ და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მძივები არ ჩათავდებოდა.

„კითხულობ-ლექსი მოჰყვება ლექსსა, ვით კრიალოსანს მძივებზე მძივი“

(ი. გრიშაშვილი)

ჩავხედოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს (ტ. IV. თბ. 1955. გვ. 1379) მასში ვკითხულობთ: „კრიალოსანი (ბერძნ. კრია-ელისონ უფალო შეინყალე) ზონარზე ასხმული მძივები, რომელთა მარცვალ-მარცვალ ჩამოთვლით (მლოცველები) ინიშნავდნენ, რამდენი ლოცვა თქვეს და რამდენი მეთანია გააკეთეს. ბერები გამვლელსა და გამომვლელს ნაკურთხ კრიალოსნებს, ხატებსა და შენდობას ურიგებდნენ.

ალბათ აქედან იღებს სათავეს ღებელთა სამგლოვიარო სიმღერა საგალობელი „კრიალეისო“ და მისი თანხმლები რიტუალები. „კრიალეისო“ სიტყვა ბერძნულია, მაგრამ სიმღერა-გალობა და მისი თანმდევი რიტუალი წმინდა ქართული, ადგილობრივი ღებურია.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ღებელთა სამგლოვიარო სიმღერა-საგალობელი „კრიალეისო“ შესაძლებელია იმ შორეული ხნის გადმონაშთია, როცა ბიზანტიის გავლენით, საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვა და გალობა ბერძნულ ენაზე ტარდებოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ შინაარსობრივად უცხო სიტყვამ ქართულ ეროვნულ ტრადიციას ფერი ვერ შეუტყვალა.

მწერალი ეთნოგრაფი
სპარტაკ რეხვიაშვილი



ბატონი სპარტაკ რეხვიაშვილის დამსახურება ყველასათვის ცნობილია, მაგრამ უფრო მეტად პატივსაცემია მისი უკვდავი სული, როცა ასეთი მოყვასის ერთგული და სიყვარულით აღსავსე ქალიშვილი რუსუდანი (მანო) გაზარდა, უდიდესი სიყვარული ასწავლა, სიყვარული მშობლიური მიწის, ახლობლების, ნათესავეების, სისხლის და ხორცის, რუსუდანი მამის ღირსეული შვილი და მისი საქმის გამგრძელებელია.

მთის რაჭა – სოფელი ჭიორა იყო მისი სიძოცხლის წყარო



ქალაქი ნოვოროსისკი. სპარტაკი სამი წლის

მამაჩემი სპარტაკ ილიას ძე რეხვიაშვილი დაიბადა 1927 წ. ქ. ნოვოროსისკში ილია რეხვიაშვილის და ვალენტინა ემნადის კეთილშობილ, სტუმართმოყვარე ოჯახში. ილიას გიორგისთან და ბიძაშვილებთან შიო და სპირიდონთან ერთად ამხანაგობა ჰქონდა დაფუძნებული.

ეკონომიურად საკმაოდ მოძლიერებულან, ქალაქის რკინიგზის სადგურზე სასტუმრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები შეუქმნიათ.

პატარა სპარტაკი უმცროს ძმასთან კარლოსთან ერთად ფუფუნებაში უზრუნველად იზრდებოდა. ოჯახი ერთი დღითაც არ წყვეტდა ფიქრს და ზრუნავს სამშობლოზე, შორეულ რაჭაზე და ახლობლებზე. ყოველ კვირას მათი სახლ-კარი სტუმრებით ივსებოდა.

განსაკუთრებით ახარებდათ ჭიორიდან ჩამოსული ხალხი, რომლებსაც ძმები ყველანაირად ეხმარებოდნენ.

ეს ბედნიერი წლები დიდხანს არ გაგრძელებულა. 1928-1930-იან ავადსახსენებელ წლებში მათ მძიმე განსაცდელი დაატყდათ თავს.

ბოლშევიკური მთავრობა რუსეთში მყოფ ქართველებს აიძულებდა დაეტოვებინათ ყველაფერი და წასულიყვნენ ქვეყნიდან. მათ ძალადობას ვერ



მერუსეთე ჭიორლები

(მარცხნიდან) თედო (ლუტაღეთი), ვარსილა (ლუტაღეთი), ილიკო (ხრიკენთი), გრიგოლა (ლუტაღეთი), ილიკო (სენსონთი), გიორგი (ხრიკენთი) — რეხვიაშვილები

გაუძლო მგრძნობიარე ილიამ და მალევე გარდაიცვალა.

22 წლის ახალგაზრდა დაქორწიებული ვალენტინა 2 შვილისა და მუცლად მყოფ მესამე შვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. გათხოვებაზე ერთი წუთითაც არ უფიქრია და სამი ვაჟით მეუღლის მშობლიურ სოფ. ჭიორაში დასახლდა.

ვალენტინა – სამი შვილის დედა, სრულიად ახალგაზრდა ქალი თავდაუზოგავად შრომობდა, დღეს და ღამეს ასწორებდა, რომ ბიჭები სასახელოდ გაეზარდა. მისი მიზანი იყო ქმრის დანაბარების შესრულება – შვილებისათვის მიეცა უმაღლესი განათლება. ეს იმ დუხჭირ დროში საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო.

ვალენტინა საოცარი სითბოთი დასიყვარულით იხსენებს სოფელს და იქ მცხოვრებლებს. მთელი სიცოცხლე მათი მადლიერი იყო. მათ გარეშე სამ ვაჟკაცს როგორ გავზრდიდით. ის იყო საუკეთესო კეთილშობილი თვისებებით შემკული, ასევე გიტარაზე დაკვრის, სიმღერის დიდოსტატი, იუმორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული. სოფელში მას ხრიკეენტების სასახელო რძალს ეძახდნენ.

ასე გახდა პატარა სპარტაკი და მომავალი მთის რაჭის უბადლო მკვლევარი სოფ. ჭიორის მკვიდრი.



სურათი გადაღებულია 1937-38 სასწავლო წლებში, როდესაც სპარტაკ რეხვიაშვილი კარგი ყოფაქცევისა და მაღალი აკადემიური მოსწრების გამო დაჯილდოვდა ქების სიგელით. ჭიორის რვანლიანი სკოლა. (მარცხნიდან) ნინა, პოპინა, ნასტია, ფუცია და სპარტაკ რეხვიაშვილები. სკოლის დირექტორი ნოე ნიქაბაძე

ბავშვობიდან განსაკუთრებული გულისყურით აკვირდებოდა საოცარ ბუნებას – მცინვარწვერებს, ნაკადულებს, ალპურ მდელოებს, იქ მცხოვრებ საინტერესო მშრომელ ხალხს.

მან წარმატებით დაამთავრა სოფ. ჭიორის 7 წლიანი სკოლა. შემდეგ სოფ. ღების საშუალო სკოლა. იმ დროში ორივე სოფელი საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა, სკოლები ბავშვებს ვერ იტევდა. ღების სკოლაში პარალელური კლასებიც კი ყოფილა. მოგვიანებით მამა შვილებს უაღრესად შთამბეჭდავად გვიყვებოდა, როგორ იკრიბებოდნენ სოფლის ბოლოს ჭიორელი გოგო – ბიჭები და ჟივილ – ხივილით მიუყვებოდნენ ღებისაკენ მიმავალ გზას. ეს იყო მისი ბავშვობის საუკეთესო მოგონებები, განსაკუთრებით შთამბეჭდავად და ემოციურად ყვებოდა ზამთრის პერიოდს, ხან წელამდე თოვლიც იყო, მაგრამ გაკვეთილების გაცდენა შეუძლებლად მიმაჩნდა სკოლაში რომ მივიდოდით ერთი გაკვეთილი ღუმელთან ვთბებოდით და ტანსაცმელს ვიშრობდით ამბობდა. ასე ყოველ დღე განათლების მისაღებად ფეხით ოთხი კილომეტრის გავლა უწევდა.

მამამ წარმატებით დაამთავრა



დგანან და-ძმა ილია და მატრონე რეხვიაშვილები.

ზის ვალენტინა ემნაძე. ქალაქი ნოვოროსისკი. 1932 წ.

ღების სამ. სკოლა და იმავე წელს წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მისი კურსელები იხსენებდნენ თუ როგორ განსაკუთრებული ნიჭით და გარეგნობით გამოირჩეოდა სპარტაკი.

მამამ ენითგამოუთქმელად შეიყვარა მთის რაჭა, იქ მყოფი ალალ – მართალი, მშრომელი, გონება გახსნილი ხალხი. ამიტომ მთელი თავისი ცხოვრება სამი სოფლის ჭიორის, ღების და გლოლის მეცნიერული კვლევადიებას მიუძღვნა. მთის რაჭა იყო მისი მაცოცხლებელი წყარო.

რაჭის ყოველმა სალოცავმა გაანათლოს მისი სული

რუღუდან (მანო)

რეხვიაშვილი

ისტორიკოსი.



ნოველები დანერილია მწერალ გივი სიხარულიძის მიერ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ბარიტონის — ლადო ათანაელის ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე დაყრდნობით. ნიბნი გამოიტა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გოგონებები ნოველებზე

სამჯერ მარმარილოს ქალი

1991 წელს გამართულ ფრანცისკო ვინიასის კონკურსზე წარსადგენად კულტურის სამინისტრომ რამდენიმე ოპერის სოლისტი დააფინანსა. მთელი გულით მინდოდა წასვლა, მაგრამ რატომღაც სამინისტროში საამისოდ ფინანსები არ აღმოჩნდა, გადაწყვიტე ისეთი სპონსორი მომეძებნა, რომელიც ჩემს სურვილს გულთან ახლოს მიიტანდა და კონკურსზე გამგზავრების საშუალებას მომცემდა, და აი, გამოჩნდა ეროვნული კაცი გურამ ქაშაკაშვილის სახით, რომელმაც ეს მისია თავის თავზე აიღო.

რა დამავინწყებს ამ მოგზაურობით გამონვეულ სიხარულს. კონკურსი ბარსელონაში ჩატარდა, სადაც ცნობილი ვერდის ოპერიდან „ბალ-მასკარადი“ რენატოს არია შევასრულე, სიმღერის დანყებისთანავე შევამჩნიე, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა როგორ გადახედა გვერდით მდგომ კოლეგას და თავი ისე გააქნია, მივხვდი, რომ დღევანდელი გამოსვლა გამარჯვების შარავანდედით იყო გასხივოსნებული, ბოლო ნოტის ალების დროს, რაც მომღერლისთვის ძალიან ძნელია, ის ჟიურის წევრი ხელით მანიშნებდა, – ლადო! არ შეჩერდე, გააგრძელე სანამ სუნთქვა გეყოფაო. მეც გალურჯებამდე არ შევჩელებუვარ. თვალები ბაზედოვის ავადმყოფივით ლამის ბუდიდან ამომიცივიდა. სიმღერა მხოლოდ მაშინ შევწყვიტე, როცა ყურში შეძახილი ჩამესმა – ბრავო, ბრავოო! შინაგანად მივხვდი, რომ ეს გამარჯვების ნიშანი იყო. დასასრულს, უკვე ნათელი გახდა, რომ ბრავოს თვით სიმღერის მსოფლიო მეტრი, ჟიურის თავმჯდომარე, ბარიტონების მეფე ჯუზეპე ტადეი და ჟიურის წევრი იტალიელი პრიმადონა მაგდა ოლივიერო გაჰკვიდნენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გრანპრი და პირველი პრემია მომანიჭეს. დაჯილდოების დროს,

უეცრად თვალთან იმ ანგელოზის სახემ გაირბინა, რომელსაც მთელი ახალგაზრდობის წლები სიზმარში ვხედავდი. იადონის ხმაზე გალობდა, მილიმოდა და უსიტყვოდ მანიშნებდა, გამომყევო. იგი თვალთაგან მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა პრემია უკვე ხელთ მეპყრა. ხოლო ჩემი მეუღლე მანანა ჩიქოვანი, რომ გავიცანი, მივხვდი იგი თვით უფლის მიერ იყო ჩემს ცხოვრებაში შემოგზავნილი, რამეთუ ანგელოზს, რომელიც სიზმარში მეცხადებოდა მანანას სახე ჰქონდა. მას შემდეგ 17 წელი გავიდა. ჯუზეპე ტადეის ვენის საოპერო თეატრში 80 წლის იუბილეს უხდიდნენ. ამ ასაკში მან კიდევ შეძლო თავის ხმით მსმენელის დატყვევება. როცა მე და ჩემი მეუღლე, კულისებში მისალოცად შევედით, მან თვალეზგაბრწყინებულმა, ყველას გასაგონად შესძახა: ბატონებო! აი, ის ბრწყინვალე ბარიტონი, რომელსაც მე გრან-პრი და პირველი პრემია გადავეციო. მერე თავისთვის ჩაიღიმა და წარმოსთქვა: – გრან-პრის თან ახლდა მარმარილოს შიშველი ქალის ქანდაკება. მერომ ქალბატონი მანანა ნანახი მყოლოდა, პატიოსნად გეუბნებით, გრან-პრის შიშველი ქალის გარეშე გადავცემდი, რამეთუ მარმარილოში გასხივოსნებული მშვენიერება მისთვის თურმე თავად ღმერთს უბოძებიაო.

აღბათ გახსოვთ 90-იანი წლების საქართველო, ომი, განუკითხაობა, სწორედ ამ დროს თბილისში ჩემი სახლი გაქურდეს, ოქროს მედალი წაიღეს და მარმარილოს შიშველი ქალიც თან გააყოლეს. ძალიან განვიცადე და ეს ამბავი ბარსელონის ოპერის დირექტორს ვუამბე. სხვათაშორის, ბარსელონაში კატალონიის მოედანზე არის ზუსტად ისეთი მარმარილოს ქალის ბიუსტი. როცა ბარსელონაში ვერდის „ოტელოში“ იავოს პარტია შევასრულე, პრესაში დაინერა, ბედნიერია ის ოტელო, რომელსაც ასეთი იავო ჰყავსო. საოპერო

ხელოვნების ისტორიაში მოხდა საოცრება - ერთი და იგივე პრემია ერთი და იგივე მომღერალს მეორედ გადასცეს. ოქროს მედალი და მარმარილოს შიშველი ქალის ბიუსტი კვლავ ჩემი საკუთრება გახდა. სხვათაშორის, ბარსელონაში, კატალონიის მოედანზე არის ზუსტად ისეთი მარმარილოს ქალის

ბიუსტი. როცა ბარსელონაში ვერდის ოტელოში იაგოს პარტია შევასრულე, პრესაში დაინერა: ბედნიერია ის ოტელო, რომელსაც ასეთი იაგო ჰყავსო. მე კი დავამატებ: ბედნიერია ის ლადო, რომელსაც ასეთი მანანა ჰყავსო-მეთქი.

ავტობრაფი ქალის მკერდზე...

რუმინეთში, ენესკუს ფესტივალზე მაკბეტი ვიმღერე. ლედი მაკბეტს ჩემი კურსელი და ახლო მეგობარი იანო თამარი მღეროდა. ორივეს უდიდესი წარმატება გვხვდა წილად და სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ბედნიერები ვბრუნდებოდით. სასტუმროს კართან ლონდონიდან ჩამოსული ერთ-ერთი ქალბატონი დაგვხვდა. არც აცია, არც აცხელა, მკერდი გადაიღელა და შეჰყვირა: თუ თქვენ მკერდზე ავტოგრაფს არ დამანერთ, იცოდეთ, რომ ქალთა მოდგმის წინაშე მიუტყევებელ შეცდომას დაუშვებთო. მე დაბნეული ვუყურებდი იანოს, რომელსაც ისტერიული სიცილი წასკდა, როცა დაწყნარდა, მითხრა ჩემო ლადო, ამ ქალის

ღალატი სამშობლოს ღალატს ნიშნავს. მადლობა უფალს, რომ ალაზნის ჭალებიდან აფრენილ მამალ ხოხობს დიდი ბრიტანეთის ზეციიდან მოფრენილი პატარა ჩიტი თავისი მკერდის შენი ავტოგრაფით შემეკობას გთხოვსო. ამ სიტყვების შემდეგ ისე, რომ არც კი დავფიქრებულვარ ამ ულამაზეს ქალბატონს მკერდი ავტოგრაფით დავუმშვენე. მხოლოდ ჩემი შემოკლებული გვარის ნაცვლად ნამდვილი გვარი დავანერე, ქალს დაბნეულობა შევატყვევე, მაგრამ ვგრძნობდი, პროცესი როგორ სიამოვნებდა. ხოლო როდესაც ჩემს მეუღლეს ხელში ვიდეო გადამღები შევნიშნე, მივხვდი, რა უნიკალურ საჩუქარს უმზადებდა იგი საოპერო ჟანრის მოყვარულთ.

წყნეთური იეზი

მოგეხსენებათ, რომ სტუდენტობის დროს წმინდა გიორგის სახელობის ქაშუეთის ეკლესიაში ვგალობდი. ეკლესიის წინ იებით სავსე კალათით წელში მოხრილი მოხუცი კაცი იდგა, რომელიც წმინდანს უფრო გავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს.

გამოველაპარაკე, მაინტერესებდა სადაური იყო, - წყნეთელი ვარო, მითხრა. უსახსრობის გამო დილის 6 საათზე წყნეთიდან ფეხით ჩამოვდივარ და უკან კვლავ ფეხით ვბრუნდებიო. გული დამეწვა, ჯიბიდან ახლად აღებული ჯამაგირი ამოვიღე, ჩემთვის ხუთმანეთიანი დავიტოვე, დანარჩენი კი მას ვაჩუქე. მოხუცი გაშტერებული მიყურებდა, ვერ მიხვდა, ცხადი იყო თუ სიზმარი, როცა გამოერკვა, ალალ-მართლად, გულიდან ამოხეთქილმა მადლიერების ნიღვარმა ლამის წამლეკა: მადლობა უფალს, შენნაირი მამულიშვილის გაჩენისთვის, შვილო, თუ ხუთ წუთს დამითმობ, ერთ ამბავს მოგიყვებო, მითხრა. გნებავთ ერთ საათსაც დაგიტომობთ-მეთქი, ვუპასუხე. მაშინ მოხუცმა იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის ამბავი მიაშობ, ყვებოდა იმის შესახებ, თუ ჯორზე შემჯდარ იესოს ქალაქის

შესასვლელში ზეთის ხილის ტოტები როგორ დაუფინეს და როგორი ოვაციებით, როგორი სიყვარულით მიიღო იგი ქალაქის მოსახლეობამ. იესო კი თავმდაბალი, მოკრძალებული, იჯდა ჯორზე, სათნო თვალებით უყურებდა თვისტომს და მადლობას უხდოდა მათ ასეთი სიყვარულისთვის. ჯორმა იფიქრა, რომ ხალხი მას ესალმებოდა და ისეთი ყროყინი ატეხა, ნორმალურ კაცს მისი მოსმენისას გული გაუსკდებოდა, ამ ეკლესიასთან უკვე რამდენიმე წელია ვდგავარ, ხან მოწყალებას ვითხოვ, ხან კი ყვავილებს ვყიდი. მოწყალების გამღებთა და მყიდველთა უმრავლესობა იესოს ჯორს მაგონებს, რომელთაგან მოწყალების გაღება-შეგინების ტოლფასია. შენ კი, შენი გულიანი, სულიდან ამოსული ნეტარი ქცევით იესოს უფრო გავხარ, ვიდრე ცოდვილ კაცთა მოდგმას. მე მისანი არ გახლავარ, მაგრამ უფლის წყალობით იმის აღქმა შემიძლია, რაც უბრალო მოკვდავს არ ძალუძს. ვხედავ, ბედის ვარსკვლავი, რომელიც თავზე დაგტრიალებს, სამეფო გვირგვინს ჰგავს. იარე ამ გზით, რომელიც უფალმა იესომ დაგანათლა, სხვას თვითონ ცხოვრება განახებს.



სასწაულის მოლოდინში

ეკრესიები, საეკლესიო მოხანძმენი ყფარს შვირის ყორას ეფერხებიან

რატომ სწირავდნენ მორწმუნეები ეკლესიებს აკვნებს

ღავით კიკოლაშვილი

საქართველოში მრავლადაა სასწაულთმოქმედი ეკლესია-მონასტრები. მათთან მორწმუნენი სხვადასხვა მიზნით მიდიან: ზოგი ჯანმრთელობას შესთხოვს, ზოგი ამჟამინურ ბედნიერებას, ზოგი კი შთამომავლობის ყოლას. რა თქმა უნდა ყველა ეკლესია თავისთავად სასწაულთმოქმედი, ყველგან მღვდელი დიდ წყალობას იღებს, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ეკლესიაზე, სადაც მორწმუნე უფალს შვილის ყოლას ევედრებიან.

ღირბი

სოფელ ღირბში (ქარელი) მდებარეობს X საუკუნის ღირბის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომელიც სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ინტერიერში საინტერესო მოხატულობის ფრაგმენტებია შემორჩენილი, რესტავრაციის შემდეგ, ნაღესი ფენის მოხსნისას პირველად გამოჩნდა ღმრთისმშობლის გამოსახულება. იგი წარმოადგენს „მიდგომილ (ორსულ) ღვთისმშობელს“, რომლის მსგავსი გამოსახულებაც ძალზედ იშვიათია მართლმადიდებლურ სამყაროში.

ღირბის ღვთისმშობელი, უშვილოთა და ორსულთა შემწედი ითვლება, ამიტომ აქ უამრავი წყვილი მოდის. მონასტერში იქსოვება სარტყელი — უშვილოთათვის. ტაძრის მოლოცვისა და სარტყელის გამოყენების შემდეგ არაერთი უშვილო გამხდარა ღირბის ღვთისმშობლის შეწვევისა და წყალობის ღირსი.”



ქვათახევი

ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი მდებარეობს კასპის რაიონში. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ქვათახევის არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, შუენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალი. ამას შინა შეჰყარნა ლანგთემურ მონესენი და შეასხა ეყუანნი [რომელნი იტყოდენ: „ვთი ჩუენს დედაბრობასა, ეს რა გვეყდარუნებიან!“], და გამოსწუნა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ელნი, ფერნი, თავნი და გუამნი. არავინ შევალს ფერცმული, არამედ ფერშიშუენი, სინმიდისთს“.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ტაძრის საძირკველში ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილია ჩატანებული. მართალია, ქვათახევის სინმინდების უმეტესი ნაწილი დღეს იქ აღარ ინახება. წლების წინ დაწერილი ღვთისმშობლის მიძინების ხატი კი, რომელიც ადრე ტაძრის კანკელზე შესრულებული ხატის ასლია, დღესაც სასწაულთმოქმედად ითვლება და მას განსაკუთრებით უშვილო წყვილები ევედრებიან.



სარკის წმ. გიორგი

სარკის (სარკის) წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ქარელის რაიონში. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი, აგებული XVII საუკუნეში ძველი ეკლესიის ადგილზე. დღეს აქ მონასტერი ფუნქციონირებს. სარკის წმ. გიორგის ეკლესია ერთ-ერთი ძლიერი სალოცავია. იგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა. დღესაც ნახავთ უამრავ წყვილს, რომელთაც ამ ეკლესიის მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი. ძველ დროში მადლიერების ნიშნად ოჯახები, რომლებსაც მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი, ეკლესიას აკვებდნენ სწირავდნენ და ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, ტყეში, მდებარეობს საჯვარე, სადაც მომლოცველნი აუცილებლად შეისვენებენ ხოლმე.



აკვანება

აკვანება მდებარეობს ბოლნისის რაიონში. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადრინდელი და მნიშვნელოვანი ძეგლია (VI ს.), რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა (ძველად ღვთისმშობლის ეკლესიებს უშვილო ქალები აკვებდნენ სწირავდნენ, აქედან მოდის დასახელება). ეკლესია ნახევრად დანგრეულია, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენია საინტერესო დეტალები: აღმოსავლეთის სარკმლის მოჩუქურთმებული სათაური და სამხრეთის ტიშანში (შიგნიდან) მოთავსებული რელიეფური ქვა, რომელზეც გამოსახულია ყურძნის მტევნები და ჩიტები. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მოქმედი არ არის, უშვილო წყვილები დღესაც მიდიან მოსალოცად.



ბოდბე

ბოდბის მონასტერი მდებარეობს სიღნაღის რაიონში. ისტორიული წყაროების მიხედვით აგებულია VI ს-ში, წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილას, მისი საფლავი სამხრეთის მინაშენშია მოქცეული. ეკლესიის მხატვრობა XIX ს. განეკუთვნება. მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხევში მდებარეობს წმ. ნინოს მშობლების - ზაბულონისა და სოსანას სახელობის მცირე ეკლესია, სადაც წმ. ნინოს სასწაულმოქმედი წყარო გამოედინება. ამ წყალში განბანვის შემდეგ უამრავი ღვთის სასწაული მომხდარა, ამიტომ უამრავი წყვილი დღესაც სასწაულის მოლოდინშია.



უძო

უძოს წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს კოჯრის მიდამოებში, უძოს მთაზე. ეკლესია შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მას ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს: „უძო ეკლესია წმინდა გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა მჭვრეტელი კოჯრისა და ტფილისისა.“ იგი იმითაც არის ცნობილი, რომ აქ უშვილო მანდილოსნები ფეხშიშველები ამოდიოდნენ და წმინდა გიორგის შვილის გაჩენას ევედრებოდნენ. სახელწოდება უძოც აქედან მოდის — „უძეო“. ეკლესიაზე ამოსული მომლოცველები შესანიშნავი იქვე მდგარ ნატვრის ხეზე ტოვებდნენ. ეს ხე დღესაც არსებობს. უძობის დღეობა ყოველ წელს, აღდგომის მომდევნო სამშაბათს იმართება.



ბიგობი უბრალო ქალად დამიშობდი ჩემი ხელთუანთ დედა!

დიდი ხანია მინდოდა დამეწერა დედაზე და მის აღმზრდელ, შრომისმოყვარე, თბილ და მრავალშვილიან (ერთი ძმა და ექვსი და) ოჯახზე, მაგრამ თავად ყოველთვის წინააღმდეგი იყო, ახლა საჩუქარს ვუმზადებ, თუმცა თავის თავმდაბლობის გამო ვიცი ამაზე საყვედურს მეტყვის.

სიტყვა ხელოვანი შემთხვევით არ მიხსენებია, მართლაც რომ ხელოვანი არის ჩემი უბრალო დედა. როდესაც მის ლექსებს გადაავლებთ თვალს ამ სიტყვების სიმართლეში თავადაც დარწმუნდებით, მაგრამ მანამდე მინდა დედას შესახებ გიამბოთ.

მერი ლაშხი დაიბადა 1933 წლის 28 აგვისტოს, რაჭაში, ამბროლაურის რაიონის ულამაზეს სოფელ კვირიკენმინდაში, ვარლამ ლაშხის შვიდ შვილიან ოჯახში. ბაბუაჩემი ვარლამ ლაშხი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მაგრამ ოჯახს მისი თავმჯდომარეობით არავითარი შეღავათით არ უსარგებლია, პირიქით რადგან მას



მერი ლაშხი ნათესავებთან ერთად

ოჯახისთვის არ ეცალა, კაცის საქმეც დედას მხრებზე იყო. უფროსი და ელენე (ლენა) თბილისში სწავლობდა. მის მომდევნო დას მერისაც, ძალიან უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ოჯახური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას.

წარმოიდგინეთ ლამაზი, კაფანდარა, გამხდარი გოგო მეხრედ, ყანაში, წისქვილში, ტყეში შემაზე თუ თივაზე, რომელსაც სიზმარში სწავლა და თბილისი ელანდებოდა. ვეღარ გაუძლო დედამ ამ გაჭირვებას და თბილისში, ბიძასთან

გამოიპარა. უნივერსიტეტში ვერ ჩააბარა. ბიძამ გული არ დანყვიტა და სავაჭრო ტექნიკუმში ჩააბარებინა, რომელიც საერთოდ არ იყო ახლოს მის სულთან, მაგრამ დაამთავრა. გაბრაზებულმა ბაბუამ დედაჩემი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჭოჭია ლუდუმიძეზე გაათხოვა, მისავე სოფელში. თუმცა ექვსივე ქალიშვილი ასე ჰყავდა გათხოვილი ბაბუას. დები ამბროლაურის რაიონში იმდენად განთქმულნი



იყვნენ სილამაზით, კლდემამოსილებით, თავიანთი სიმღერით (თვითნასწავლი), ხელსაქმით და პატიოსნებით, რომ ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდანვე ჰყავდათ მთხოვნელები. ერთი ასეთი ამბავი მახსენდება: სოფელში ბაბუასთან მოვიდნენ და ჰკითხეს:

— გასათხოვარი ქალიშვილი აღარ გყავთო? ბაბუას გაეცინა და უთხრა: — როგორ არა, უფროსი ქალიშვილი დამრჩა გასათხოვარიო და ბებიაზე მიუთითა – (ბებია ეფროსინე აბითიძე აგარიდან).

— ხუმრობთ, ვარლამ ბატონო?

— გაეცინა სტუმარს,

— ვხუმრობ კაცო, აბა რალა დროს ჩემი ქალიშვილებია, სადაცაა ჩემი შვილიშვილები იქნებიან გასათხოვარიო.

დედა გათხოვებაშიც არ ყოფილა ბედნიერი, ორი შვილი ჩემზე უფროსი და ჩემი მომდევნო ყვიანა ხველით გარდაეცვალა, მე ალბათ უფალმა

გადამარჩინა. შემდეგ კიდევ მეყოლა და და ძმა. ხუთი შვილის და სამი შვილიშვილის პატრონი, ოჯახთან ერთად სოფლის მაღაზიაში მუშაობდა. ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა, უკრავდა გიტარაზე, აკორდეონზე, ჩონგურზე, ფორტეპიანოზე და მღეროდა თავის ხუთ დასთან ერთად, რის გამოც მე მას ხელოვანს ვუნოდებ. რა არ გამოსდიოდა ხელიდან.

შემდეგ მამამ თბილისში სახლი იყიდა. ესეც დედას მონდომებით.

მას ეშინოდა, თვითონ რომ ვერ ისწავლა, შვილებიც ასე არ დამრჩნენო. შვილებმა ვისწავლეთ, ჩემმა დამ ოჯახი ვერ შექმნა. მხოლოდ მე და ჩემს ძმას გყავს შვილები, რომელთა გაზრდაშიც დედას დიდი წვლილი მიუძღვის. ჩემი ძმისშვილი ნიკუშაც მისი გაზრდილია.

ჩემი ქალიშვილი თეა თავის ოჯახთან ერთად ავსტრალიაში ცხოვრობს, ნიკოლოზი კი — საფრანგეთში, რომელიც მალე ჩამოვა და კვლავ ჩაეხუტება თავის მონატრებულ ბებოს.

აი ასე ჩაიფერფლა ხელოვანი ქალის სული, უბრალო ქართველი დედის ცხოვრება. „როგორ უბრალო ქალად დამიბერდი, ჩემო ხელოვანო დედა!“ ეხლა გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს და თქვენ თვითონ განსაჯეთ თითოეულ სიტყვაში რაოდენ გულწრფელობა გამოსჭვივის.

ირა ლუდუმიძე-ჩინრაძე

კვირიკეწმინდა


ცნს სწვდება კორტის წოწოლას ქუდი და ნაოჭ შეუღლსე იფარებს ნისლეებს, სიმაღლისათვის უფალს მადლს უხდის და ეუფლებს სიღარბისლე.

ალბათ აქ იდგა უფალი ღმერთი როდესაც იგი სამყაროს ქმნიდა აქ აღმართა მან ნაკურთხი კვერთხი და განჩნდა ქვეყნად კვირიკეწმინდა. ახლა ამ მიწას უვავიც არ კორტის და ნაურმალი გზებიც სუნდება კვირიკეწმინდა იგივე კორტი რაც გინდა თქვი და უკაცურდება!

ზამთარი

თეთრი სიჩუმე კარებთან იდგა და მარტოობა კედლებს ბზანავდა, უნიჭო მხატარს გავდა ზამთარი იგი მიდამოს თეთრად სეტავდა. ათოვდა სანსლებს, ათოვდა შანსს ათოვდა თლულს და ათოვდა შავრანს განისწულიყო ქალაქს ყოველი ეხოს არ ჰყავდა კაცი მომეფელი და უნატრონოდ დარჩენილ სანსლებს კაცი არ ჰყავდა გადმომთოვლელი!

მ. ლაშხი



რა შედეგს ითვალისწინებს მთის კანონი



პარლამენტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის მიღებას საგაზაფხულო სესიაზე გეგმავს. რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს კანონპროექტი მაღალმთიანი დასახლების სტატუსს? როგორ მოხდება მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად ან დროებით მცხოვრების სტატუსის მოპოვება? რა შედეგს ითვალისწინებს კანონი სოციალური, საგადასახადო მიმართულებით და რა ფუნქციები ექნება მთის ეროვნულ საბჭოს?

ყოველივე ამ საკითხებზე ვეცადეთ პასუხი მიგველო საკანონმდებლო ორგანოდან, მაგრამ ვერავის დავუკავშირდით, ამ დროს კი ვიპოვეთ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული სტატია, რომელიც სულად გვაძლევს პასუხს, თუ რა ბედი ელის მაღალმთიანი რეგიონს და რა შედეგს ითვალისწინებს მთის კანონი. გთავაზობთ ინტერვიუს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, მთის განვითარების სახელმწიფო კომისიის წევრთან, მცხეთა – მთიანეთის გუბერნატორის პირველ მოადგილესთან, კობა არაბულთან.

- ბატონო კობა, კანონპროექტი რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს მაღალმთიანი დასახლების სტატუსს?

- მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მოსაპოვებლად კანონპროექტი ითვალისწინებს ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილება წარმოადგენს მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების საფუძველს.

კანონპროექტის მესამე მუხლი, რომელიც სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმებს მოიცავს, ჯერ საბოლოოდ შეთანხმებული არ არის. არსებული ვარიანტით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის

მოპოვების ძირითადი კრიტერიუმებია: ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა ჰიფსომეტრიული სიმაღლე; დასახლებაში ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გახსნილა მცირე, საშუალო ან მსხვილი საწარმო ან არ განხორციელებულა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია; სიკვდილიანობის რიცხვი აღემატება შობადობის რიცხვს ან თანაბარია; თვითდასაქმებულთა რაოდენობა აღემატება დაქირავებულთა რაოდენობას; დასახლებაში არ არის ერთ-ერთი ობიექტი: სამედიცინო დაწესებულება, სკოლა ან საბავშვო ბაღი; დასახლებაში არ არის შიდასახელმწიფოებრივი, საერთაშორისო, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, სასმელი წყლით მომარაგების სისტემა;

ასევე, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება მოიპოვოს დასახლებამ, რომელიც არის ზღვის დონიდან 1000 მეტრზე დაბალ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე თუ: დასახლებაში რელიეფის დანაწევრებულობისა და მაღალი დამრეცობის გამო შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება მექანიზაციის მეშვეობით; დასახლებაში ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გახსნილა საწარმო ან არ განხორციელებულა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია; დასახლებაში არ არის საავტომობილო გზა, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, სასმელი წყლით მომარაგების სისტემა.

- დამატებით კრიტერიუმებს ვინ გასაზღვრავს?

- მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მოპოვების დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა თავისი დადგენილებით.

- ვინ მინიჭებს სტატუსს მაღალმთიანი დასახლებას?

- მაღალმთიანი დასახლებას სტატუსს მინიჭებს მთის ეროვნული საბჭო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებიდან 3 წელში, სტატუსის მოპოვების კრიტერიუმებს ამოწმებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. თუ აღმოჩნდა, რომ შემოწმების შედეგად დასახლება აღარ აკმაყოფილებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მოპოვების ძირითად და დამატებით კრიტერიუმებს, სამინისტრო მიმართავს მთის ეროვნულ საბჭოს დასახლებისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის გაუქმების თაობაზე.

- მთის ეროვნული საბჭო ამ კანონის საფუძველზე შეიქმნება?

- დიახ, მთის ეროვნული საბჭო იქმნება მაღალ-მთიანი დასახლების სტატუსის მოპოვებისა და განვითარების შესახებ შესაბამისი სამინისტროების, მუნიციპალიტეტების საქმიანობის შეფასების მიზნით. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 15 წევრით და მასში შევლენ როგორც მთავრობის, პარლამენტის და თვითმმართველობის, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს პრემიერ – მინისტრი უხელმძღვანელებს. საბჭოს წევრების საქმიანობა არ იქნება ანაზღაურებადი.

- რამდენადაც ცნობილია, კანონპროექტი ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად და დროებით მცხოვრების ცნებას. ვინ მიანიჭებს პირს ამ სტატუსს?

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ან დროებით მცხოვრების სტატუსს პირს ანიჭებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ან მერი.

- რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ეს სტატუსი?

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი მიენიჭება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში და ყოველ წელს 9 თვე უწყვეტად ცხოვრობს იქ.

დროებით მცხოვრების სტატუსის მისაღებად კი, პირი მაღალმთიან დასახლებაში უწყვეტად 6 თვე უნდა ცხოვრობდეს. პარლამენტში განხილვების დროს ეს ვადა შეიძლება შეიცვალოს. დროებით მცხოვრებლის სტატუსის მისაღებად, 6 თვე შესაძლოა 5 თვემდე შემცირდეს მთაში არსებული კლიმატურ-გეოგრაფიული მდგომარეობიდან და იქ ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე.

- რა შედეგათებს ითვალისწინებს კანონპროექტი სოციალური მიმართულებით?

- კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ან დროებით მცხოვრები სტატუსის მქონე პირებისათვის შემდეგი შედეგების დაწესებას: უფასო სამედიცინო დაზღვევა; სახელმწიფო პენსიაზე ყოველთვიური დანამატის გაცემას პენსიის ოდენობით; საარსებო შემწეობის ორმაგი ოდენობით გაცემას სტატუსის მქონე ოჯახის წევრისათვის; რეინტეგრაციის შემწეობის ორმაგი ოდენობით გაცემას; შვილობილად აყვანის ანაზღაურების ორმაგი ოდენობით გაცემას; დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე ყოველთვიური შემწეობის ორმაგი ოდენობით გაცემას; შვილის შეძენისათვის თითოეულ ბავშვზე დახმარების 1000 ლარის ოდენობით გაცემას;

სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულებისთვის ყოველთვიური დანამატის გაცემას ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით; სამედიცინო პერსონალისათვის ყოველთვიური დანამატის გაცემას შრომის ანაზღაურების 50 პროცენტის ოდენობით;

სტატუსის მქონე პირები განთავისუფლდებიან ადმინისტრაციული ორგანოების მომსახურების საფასურებისგან 50 პროცენტის ოდენობით;

სკოლის მასწავლებლები მიიღებენ ყოველთვიურ დანამატს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტის ოდენობით; მოხდება მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა; თითოეულ მოსწავლეზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვაუჩერი ორმაგი ოდენობით; სტატუსის მქონე პირებს, რომლებიც სწავლას აგრძელებენ უმაღლეს სასწავლებლებში აკრედიტებულ პროგრამაზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობით სწავლის საფასურს მთავრობა დააფინანსებს.

ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველის წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე მოხმარებული 700 მ3 ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდას; ვისაც არ მიენიჭება ბუნებრივი გაზი, სახელმწიფო უზრუნველყოფს ალტერნატიული საშუალებით. ასევე, ბიუჯეტიდან მოხდება ამ პერიოდში მოხმარებული 1000 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურის გადახდა;

- მთავრობის წევრებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ კანონის მთავარი პრიორიტეტი მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება და ადგილზე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა იქნება. კანონპროექტი საგადასახადო მიმართულებით რა შედეგათებს ითვალისწინებს?

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ან დროებით მცხოვრები სტატუსის მქონე პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო და ქონების გადასახადისაგან.

კანონის ამოქმედების შემდეგ მაღალმთიან დასახლებაში გახსნილი საწარმო თავისუფლდება მოგების გადასახადის გადახდისაგან საქმიანობის დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში. ასევე, ამ კანონის ამოქმედებისას მოქმედი საწარმო თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან იმ ნაწილში, რომლის რეინვესტირებაც განხორციელდება მაღალმთიან დასახლებაში შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

- პრემიერმა განაცხადა, რომ მთის კანონი პარლამენტს მარტში წარედგინება და საგაზაფხული სესიაზევე მოხდება მისი დამტკიცება. როდის იქნება შესაძლებელი კანონით გათვალისწინებული შედეგათებით სარგებლობა?

- ეს ეტაპობრივად მოხდება. რამდენიმე ბიზნეს-კომპანია მზად არის, კანონის ამოქმედებისთანავე დაიწყოს საქმიანობა მთაში, როგორც კი დასახლება სტატუსს მიიღებს. საქართველოს ყოველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვრება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების დაფინანსების ფონდი. ამ ფონდში მიეთითება შესაბამისი სამინისტროებისათვის და მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ოდენობა.

ბელა მთივლიშვილი

მომიალოებს დედა

მაკოჯა, მომიალოერსა...და ახლაც მე სხვა ვარ. სხვა ვარ, რადგან ორჯერ უფრო ძლიერად ჩქეფს სისხლი ძარღვებში. სხვა ვარ, რადგანაჯ მისი სუნთქვა შეეზავა ჩემსას.

ჩემი ნიალი ისევე ნმინდაა, როგორც ჩემი გული.

მას აქეთ ყვავილოების სირნელივითაა ჩემი ამოსუნთქვა. მიზეზი იგია, ვინჩჩამისახლოდა სხეულში და მომეთვისა, ვით ნამი – ზალახს.

ნეტა როგორი ინება იგი? დიდხანს ვუშეირდი ვარდის კოკორს, თითებთ მოვუსინჯე ფურწლოები. ნეტა ასეთი ფაფუკი ლოყები ექნებოდეს! მაყვლის აზურფულო ზუჩქს მოვესიყვარული. ნეტა ასეთი მუქი და ხვეული თმა ექნებოდეს! შავტყუხა თუ იქნება? მეთუნეებს რომ ნითელი თიხა, მოსნონთ, აი, ჩემს წხოვრებასავით სადა? იყოს, რა ყშავს?!

ნისლში ეხვევა მთის ორნობები. ნისლის ფთილა ჰატარა გოგონას ჰგავსსაყვარელ რუგრუმელას. იყოს გოგონა!

უფრო კი მინდა, მამის სიღობო ჰქონდეს მშეირაში და, რომ დამელაჰარაკება, მინდა მასსავით ოღნავი თრთოლა ერიოს ხმაში. ვისაჯ მოველი, მასში მინდა იგი მიყვარდეს, ვინჩ მაკოჯა, მომიალოერსა.

აგერ უკვე მერამდენე გაზაფხულის მშით ვივსენი და ისევე მეძლევა ნება ვკრიფო მინდვრის ყვავილოები. ნელინაფის ყმშვენიერეს დლეებში ნეტა რატომ იმეტებს ჩემთვის ამ საოჯარ საჩუქარს ჩახჩახა მზე და ლორთქო ზალახი?!

კვამლისფერ მტევანს რომ მშის ფერი ჩაუდეგება, მერ ასევე სინაზითა და ნეტაებთ მავსებს ნათლის სხივი. ჩემი არსების სირლმეში ჩემივე ძარღვებიდან ნვეთ-ნვეთად იქმნება იგი და ღვინდება ჩემში.

და ასე ვივსენი. ვინჩ ხორჯს ისხამს ჩემს სხეულში, მისი ნყალოზით ჩემს მინიერ ზუნებას ღვთაებრივი ნება მსჯვალავს და როჯ თრთოლით ამოვთქვამ ლექსს, ჩემი არსებიდან ჩაღდება გაუნელოებელი რეჩხლი და გავარვარებული ნაკვერჩხალივით ვიღვენთები.



დედა, შენი წიაღის მდუმარებაში გამოისახა ჩემი თვალები, ჩემი ტუჩები, ჩემი მკლავები... მაცოცხლებელი შენი სისხლით ნასაზრდოებდი, წყალი რომ კვებავს მინაში ჩაბნეული ყვავილის თესლს, სწორედ ისე. შენგან მომდგამს, შენი, შენგანი და შენმიერია ჩემი შეგრძნებები. შენი სხეულის ნაწილია ჩანწული ჩემს არსებაში. და ასე ვცხოვრობ ამქვეყნიად. შენ დაილოცე. მადლობა სამყაროს ელვარე ფერებისთვის, რომელთაც შეეთვისა ჩემი სული.

დედა, შენს კალთაში ვიზრდებოდი, როგორც ნაყოფი-დახუნძლულ რტოზე. შენს მუხლებს აქამდე შემორჩა ჩემი სხეულის ანაბეჭდი, მომდევნო შვილმაც ვერ გადაფარა. მიხუტებდი და მარწევდი. ბალის ბილიკებს ასკინკილათი რომ გაფუყვებოდი, შენი კალთა როცა ვერ გრძნობდა ჩემი ტანის სიმძიმეს, მომინატრებდი და მელოდი სახლის ზღურბლთან. მე ვიცოდი ეს.

ამქვეყნიად არ არსებობს მსოფლიოს უპირველესი მუსიკოსის ჰანგზე უფრო ტკბილი ჰანგი. ეს შენი ნანაა, დედა, და ჩემი სულის ყველაზე მთრთოლარე კვირტი მაშინ გამოინასკვა, შენ რომ ნახად მინანავებდი.

მარწევდი და თან სულ ღიღინებდი: ხან ჩუმად, ხან ხმაგაგონებით. ეს ხან ლექსი იყო, ხან სახუმარო და საალერსო სიტყვები, ასე მღერა-მღერაში ახსენებდი, იმ სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, რომელსაც უნდა შევთვისებოდი: გორაკებს, ადამიანებს, ხეებს, ხილს, ქინქლას, მინდვრად მოფანცქალე პეპელას. გინდოდა, შენს გოგოს შინაურად ეგრძნო თავი ამ გარემოში; ცდილობდი, მისთვის გაგეცნო დედამინის ყველა სულდგმული – მომავალი დიდი ოჯახის წევრები.

ასე ნელ-ნელა შეგყავდი შენს მშვენიერ და სასტიკ სამყაროში. არ არის ამქვეყნიად ისეთი სიტყვა, შენ რომ არ გეთქვა ჩემთვის.

მერე სხვები იმეორებდნენ იმ მშვენიერ სიტყვებს, აცოცხლებდნენ იმ წარმოდგენებს, იმ

აზრებს, რომლებიც შენგან უკვე მქონდა ნაჩუქარი და სულში შემოჭრილი.

დედა, შენ შემიძეხი ისეთი უბრალო საგნებისა და მოვლენების საუფლოში, რომლებიც ტკივილს არ მომაცენებდნენ. ეს იყო სამკურნალო ბალახები, ბაღია, სახლის წინაკართან სუროს ფოთლები. სათუთად ვეხებოდი მათ და ცოცხალ მეგობრებს ვიძენდი.

ზოგჯერ სათამაშოსაც მიყიდი ხოლმე, უფრო კი თვითონ მიკეთებდი ჩემსავით დიდთვალეა დედოფალას, ანდა – პატარა სახლს, ჩემი ცელქობის წყალობით იოლად რომ ინგრეოდა და იფუშებოდა. შენ, რა თქმა უნდა, გახსოვს, რომ არ მომწონდა სათამაშოები, სული არ ედგათ და იმიტომ. ყველაფერს მერჩინა შენი ხელები, მათი შეხება.

გულჩათხრობილი და უკარება ბავშვი ვიყავი, ფარვანას ვგავდი, დღისით რომ ვერ მოჰკრავ თვალს; კიდევ შეფიქრიანებული იყავი, შენი გოგო რომ არ თამაშობდა, რომ არ გაერეოდა ბავშვებში და არ დაკუნტრუშებდა. „ავად თუა“, -იტყოდა ხოლმე, მარტოს რომ მნახავდა დაბრეცილ ვაზთან ან ასხლეტილი მალხაზი ბიჭივით ტანაყრილ ნუშის ხესთან მოლაპარაკება, მაგრამ შენგან პასუხს ვერ იღებ. მისი დანახვა რომ შეგეძლოს, ადრინდულად შუბლზე მიადებდი ხელს და ეტყოდი: „სიცხე გაქვს, ჩემო გოგო...“

ისე უბრალოდ შევიგრძნობ მშვენიერებას, თითქოს წყალს ვსვამდე. შენ მომმადლე ეს ნიჭი. შენგანვე მაქვს დარდის უნარიც. გულის სიღრმეში სათუთად ვინახავ ამ ფაქიზ განცდებს და კვლავაც შევინახავ.

მინდა მჯეროდეს, რომ გესმის ჩემი და თვალებს ვხუჭავ, დღის სინათლეს ვარიდებ მზერას. შენ ხომ წევდიადში ხარ ახლა. ყველაფერი რომ უკეთ გამოვხატო, დუმილის ვარჩევ, რადგან სიტყვა უძლურია, გრძნობას ვერ იტყვს.

მარიკა კირვალიშვილი

ვანო ცინცაძე

რჩევბა დარბობებანი ქალებს

თუ ქმარი შინ ღვინით, გამობრუული და გამსკდარი დაბრუნდა, მოეფერეთ და სთხოვეთ ხვალაც წავიდეს საჭიფოდ. ამით, ორსაქმეს გააკეთებთ: შინ ნერვები არ აგეშლებათ და ოჯახშიაც ეკონომიას გააკეთებთ!

ადრე რომ იწყევლებოდით, „შენ დალიე შხამი და დურბელა!“, „შენი კუბო დავდგი მალე!“, „შენ არ გელირსოს მოქალაქეთა კავშირის წევრობა!“, „შენ ქელეხში მოსულიყოს მთელი პარლამენტი!“ „არ გელირსოს ესენგეში შესვლა!“, „შენი ორმოცი და წლისთავი გადამეხადოს პოსლეზე!“.

როცა ქმარს ეჩხუბებით, ჩხუბს უნდა დაასწროთ სამშვიდობო ძალები - შენი მშობლები და დამკვირვებლები - მეზობლები.

თუ ქმარი გღალატობთ და სხვადასხვა ქალთან ერთობა, მიბრძანდით მუნიციპალიტეტში, გაუკეთეთ მეუღლეს პრივატიზაცია, გადაუხადეთ თანხა დაამტკიცებინეთ ნოტარიუსს და ამის შემდეგ თქვენი პირადი საკუთრება გახდება.

ვისაც ბევრი ლარი და დოლარი გაქვთ, იწუწუნეთ ყოველდღე, იტირეთ, იბუზღუნეთ ვალებში ხომ არ იხრჩობითქო, მაღაზიებიდანაც კი ნისიად აიღეთ პროდუქტები. თორემ ახლობლები არ მოგასვენებენ - მასესხე, მასესხეს ძახილით.

თუ გსურთ კარგად ჩაიცვათ და დაიხუროთ არ იაროთ ლილოს, თბილისის, ან მუხიანის ბაზრობაზე, იქ ყველაფერს „ბარახლოს“ შემოგთავაზებენ - წადით ამერიკაში.

თუ არ მარხულობთ, ყოველდღე მიირთვით ახალ-ახალი მწვადები, ხაშლამა, ოჯახში გაზრდილი ინდაურის საცივი, ღომი და სულგუნი, ცხელი მჭადები, ხაჭაპური და კუპატი, ყოველი სახის თევზეულობა, (უმჯობესია კეცებზე შემწვარი!) ხიზილალა, (რა თქმა უნდა, თუ რჩეული ბიზნესმენის ოჯახის წევრი ხართ).

თუ თქვენს ქმარს დედათქვენი წყევლის, გიხაროდეთ - დედის წყევლა ლოცვაა შვილისთვის.

ლთ ქმარს ათი თეთრიც არ ჩაუდოთ ჯიბეში, ის მაინც ნახავს დასალევს.

სადაური წესია?

მეზობელმა დამპატიჟა, ჰქონდა ბავშვის ნათლობა,
და მეც დაფასებისთვის გადავუხადე მადლობა.
ცოლმა მითხრა: „თუ არ გინდა, წუწურაქა დაგვარქვას,
სახუქარი მივუტანოთ ისეთი, რომ გავგიჟდეს,
საბოლოოდ, სომ იცი რომ მიტანისთვის გუპატიეებს
რადგან კარის მეზობლების კარგად ვიცით ჩვენ ფასი,
ერთ ნათლობას შეეწირა თითქმის ჩემი ხელფასი,
თან ისეთი ღვინო მასვა (რა ვქნა, უნდა დაემრანო)
მეორე დღეს ჩემსას სამჯერ მოგრიალდა „სასწრაფო“,
შეიკვილეს, შეიცხადეს, ეველა შემომესია,
ძმარ-შაქარ-წელით კაცის მოკვლა სადაური წესია...
ერთ მეგობარს ზესტაფონში ავად ჰევადა ბებია,
საწეალს, დასძინებია და აღარ გაღვიძებია,
გასვენებას დავესწარი (იქაც ჩაველ ჩემს ჭირად),
ვიღაც კაცთან მიმიყვანეს, ხელში სია ეჭირა.
რამდენს სდებო, - შემეკითხნენ, მე გავბრახდი, ავევირდი:
არ გრცხვენია, ფულს თხოულა? - გამოდის, რომ მეგდარს ეიდით!
გაიცინეს, მითხრეს: ძმაო, ეს ვალი და სესხია!..
გაკონილა? მკვდრით ვაჭრობა სადაური წესია!
აჰ, ჯანდაბას, მეგობრისთვის შემეწირავს ის ფული,
მე თუ გულში წეენა დამჩხა, ჭირისუფალს - „ჟიგული“ -
გრძელ სეფაში თამადაბად დადგენ „მკელი „მსმელები“,
სადღეგრძელო წამოიწეეს გარდაცვლილის სხენებით,
მერე მიცვალებულების აღარ ჰქონდათ დარდი მათ
და ქელები ერთ საათში გადაიქცა ნადიმად...
„გთხოვთ მეწვიოთ, ქორწილი მაქვს შაბათს ჩემი ხუტასი,
სალხი ცოტა მეუოლება, ასე კაცი ხუთასი“.
ეს ბარათი რომ მივიღე, ვიეავ ნეფის მაყარი...
სუფრა ვნახე, ო, რა სუფრა! - ბრძოლის ველის მაკვარი,
იეო ერთი ღრიანცელი, ჩხუბი აყალ-მაყალი...
ტიკივით რომ მიერდნობოდა სუფრას კაცი მალალი,
ჩემზე ბრძანა: შეასვითო, სანამ ამითესია...
ნეტავ ღვინოს დამალება, სადაური წესია?
არ მომეშენენ, დამაფიცეს, ცოლი, შვილი, ძმაკაცი...
დილით სახლში ოთხმა კაცმა მიმიტანა საკაცით.
მამ, რისთვისლა ჰქვია ჩვენში სუფრას აკადემია,
ნუთუ ზოგი მავნე ჩვევა ასე გადამდებია?
შევარცხვინე ეველა ბრიევი (რა ვუწოდოთ სხვაგვარად),
ვინც ლხინის და ჭირის წესი ასე გადაავარა.

ვანო ცინცამე

რატის ტოპონიმიის ენობრივი და გარეენობრივი ანალიზის შობი საკითხი

პაატა ცხადია

ადამიანთა სრულყოფილი თანაარსებობისა და ცხოვრების პროგრესისათვის აუცილებლად საჭიროა როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელი (ტოპონიმი, ანუ ადგილის სახელწოდება) და ანთროპონიმი (ადამიანთა სახელ-გვარები). საკუთარი სახელის ფუნქციაა იდენტიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია, ე.ი. მსგავს საგანთა სიმრავლიდან ერთი კონკრეტული საგნის, ობიექტის გამოყოფა. ტოპონიმთა ერთობლიობას ეწოდება ტოპონიმია, ხოლო ტოპონიმის შეისწავლის ტოპონიმისტიკა, რაც ონომასტიკის ქვედარგია. ონომასტიკა არის მოძღვრება საკუთარ სახელთა შესახებ. ტოპონიმისტიკის გარდა, ონომასტიკის ქვედარგებია ანთროპონიმისტიკა (მოძღვრება ადამიანთა სახელ-გვარების შესახებ), ზოონიმისტიკა (შეისწავლის ცხოველ-ფრინველთა სახელებს), თეონიმისტიკა, კოსმონიმისტიკა...

ევროპულმა ონომასტიკამ (და, შესაბამისად, რუსულმა და ქართულმა) ჩამოყალიბების სამი ეტაპი გაიარა: 1. წინარემეცნიერული; 2. ისტორიოგრაფიული; 3. ენათმეცნიერული. საქართველოში ტოპონიმთა ისტორიოგრაფიული ანალიზი დაიწყო XIX ს-ში და გრძელდებოდა XX ს-ის პირველ ნახევარშიც. ისტორიკოსებმა — მ. ჯანაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. მარმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. მელიქიშვილმა... ტოპონიმურ მასალაზე დაყრდნობით საყურადღებო დასკვნები გააკეთეს ქართველი ხალხის წარსულზე, ქართველთა წინაპრების ადგილგადანაცვლებაზე, საქართველოსა და მისი რეგიონების საზღვრებზე.

ქართული ონომასტიკის გადაქცევა ენათმეცნიერების დარგად (XX ს-ის მეორე ნახევარში) დაკავშირებულია ალ. ლლონტის, ი. მაისურაძისა და ზ. ჭუმბურიძის მოღვაწეობასთან. 1969 წელს პროფ. ფ. ერთელიშვილის ინიციატივითა და პროფ. შ. ძიძიგურის მხარდაჭერით თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმისტიკის ლაბორატორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს რეგიონების ტოპონიმური მასალის

აღწერა-აღწერისა, გამოცემისა და ენობრივ-გარეენობრივი ანალიზის საქმეში. დაარსებიდან 10 წლისთავზე თსუ ტოპონიმისტიკის ლაბორატორიის ექვს თანამშრომელს უკვე დაცული ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია. ამიტომაც საქ. კპ ცკ-ის მდივანთან, ბატონ ე. შვეარდნაძესთან გაიგზავნა წერილი თხოვნით, აღნიშნული ლაბორატორიისათვის მიენიჭებინათ სამეცნიერო სტატუსი. აღმოჩნდა, რომ ამისი კომპეტენცია მხოლოდ მოსკოვს ჰქონდა. თსუ ორი თანამშრომელი გავემგზავრეთ, მაგრამ სსრ კავშირის განათლების მინისტრთან არც შეგვიშვეს. როცა ყოველივე ამის შესახებ მოახსენეს ბ-ნ ე. შვეარდნაძეს, მან ჩვენგან მიღებულ წერილს წააწერა: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს განათლების მინისტრს: აიყვანეთ რესპუბლიკის ბიუჯეტში. ამის შემდეგ 10 წლის მანძილზე (სანამ სსრკ დაიშლებოდა) ტოპონიმისტიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა უმრავლესობა მეცნიერი მუშაკი გახდა (მოსკოვისაგან არალეგალურად). მოგვიანებით ტოპონიმისტიკის ლაბორატორიას ეწოდა „ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, მაგრამ 2006 წელს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ერთი ხელის მოსმით გააუქმეს სამეცნიერო განყოფილება და შესაბამისი შტატები.

არსებობის 37 წლის მანძილზე ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრში დაცულ იქნა 15-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა შრომათა კრებულები, რეგიონების ტოპონიმური მასალა. „ცენტრის“ თანამშრომლებს არაერთგზის წაუკითხავთ სამეცნიერო მოხსენება სსრ კავშირსა თუ ევროპაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე. თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ს/კ ცენტრი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ჯგუფი იყო. ერთ-ერთი საკავშირო ონომასტიკური სამეცნიერო სესია საქართველოში გაიმართა.

„ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1990 წელს, ცნობილი ტოპონიმიკური ცენტრების — მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ტოპონიმიკური კომისიისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ონომასტიკური კომისიის გვერდით დასახელებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიაც (იხ. ИЭС, Москва, 1990, გვ. 516).

ა. ენოზოგრაფიის ტოპონიმიკაში

რიონის ხეობაში მდებარეობისა და კავკასიონის ქედითა და მისი განშტოებებით შემოზღუდულობის გამო რაჭა იყო „შეუვალი გარე მტრისაგან“ (ვახუშტი ბატონიშვილი). ამის გარდა, რაჭველებში „ქართული ზნე-ჩვეულებანი დაცულია უფრო ნმინდად, ვიდრე სხვაგან“ (აკაკი წერეთელი). რაჭის ტოპონიმია და რაჭული მეტყველება, რა თქმა უნდა, ქართულია, მაგრამ შეიცავს სხვა რამდენიმე ენის ლექსიკურ გავლენასაც. რაჭის ტოპონიმიაში გამოვლენილია სვანიზმები და ზანიზმები, აგრეთვე ოსური, აღმოსავლური და რუსული ენების ლექსიკა. სვანიზმები გვხვდება ჭიდროთას ზემოთა რიონის ხეობაში, რომელსაც მთარაჭასაც უწოდებენ და მთიულეთსაც. ეს მცირე რეგიონი შუა საუკუნეებში სვანებს ეჭირათ, მაგრამ XVI ს-ის დამდეგიდან აქ მკვიდრებიან რაჭველები („სასისხლო საქმის“ — თავად ჯაფარიძის მოკვლის გამო — სვანებს დაუთმიათ მთარაჭა). რაჭის ტოპონიმის სხვადასხვა ასპექტებს შეჰხებიან ალ. ონიანი, გ. გასვიანი, მ. ალავიძე და სხვ. „რაეოში“ დაბეჭდილ წერილში გ. თავაძე აღნიშნავს, რომ „ზემო რაჭა მოფენილია სვანური ტოპონიმებით“ (ამ კონტექსტში ზმნა „მოფენილია“ გადაჭარბებული ჩანს). სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ სვანური ტოპონიმია თავს იჩენს ჭიდროთას ქვემოთაც, რიონის მარჯვენა მხარეს, კერძოდ, უწერასა და საკაურის ხეობაში.

სვანიზმებად, უპირველეს ყოვლისა, ითვლება ზემო რაჭის ტოპონიმიაში: ბრილი, თევრეშო, ღები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, ბუბა, ზოფხითო, კინტრიშო, ედენა, გილოინა, ჭვებარი (< სვან. ჭვებ, ჭუაბ „ჭაობი“. -არ მრ. რიცხვის ნიშანია), ღები (< სვან. ღუაბ „გუბე“) და სხვ. რას ნიშნავს „სვანურის კვალი“? სვანურ სუბსტრატს, სუპერსტრატს თუ ნასესხობას? (ქართველი ისტორიკოსები — ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი... ვარაუდობენ, რომ V-VI საუკუნეებიდან რაჭაში,

მთარაჭის ჩათვლით, საკუთრივ ქართულენოვანი მოსახლეობა მკვიდრობდა. მაშასადამე, შუა საუკუნეებში სვანები გადმოვიდნენ რივნისთავში, იქ დიდხანს მკვიდრობდნენ და ბოლოს იძულებული გახდნენ, გასცლოდნენ მთიულეთს (დღევანდელ მთარაჭას). ამ შემთხვევაში მთარაჭის ტოპონიმიაში გამოვლენილი სვანიზმები დაკვალიფიცირდება როგორც სვანური სუპერსტრატი („ზედა ფენა“) შუა საუკუნეებისა.

ზემო რაჭის ორმოცამდე ტოპონიმს გ. გასვიანი თვლის სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებებად (იხ.: გ. გასვიანი, „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 196). მაგრამ აქ საჭიროა დაზუსტება. საერთოდ მკვლევართა მიერ სვანიზმებად მიჩნეულ რაჭის ტოპონიმებში შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი: ა. ამოსავალი ფუძე სვანურია, ხოლო სანარმოქმნო საშუალებანი — ქართული. მაგალითები: ნაკიეთი (< სვან. ნაკ- „დავაკება“), წედისი (< სვან. წედ- „მცირეებიტიანი წყარო“), მაჟიეთი (< სვან. მაჟ-, მჟ- „მზე“) და სხვ. ბ. ტოპონიმი ქართულია ან საერთოქართველური. შევებებით მხოლოდ რამდენიმე მათგანის წარმომავლობას, რომლებიც აშკარად არ წარმოადგენს სვანიზმებს: სალატიფარი (სათიბი სოფ. ღებში). რაჭულ დიალექტში ლატი იგივეა, რაც დიყა, ხოლო ფარი უტყყო ფერდობია. სა- ქართულში დანიშნულების პრეფიქსს წარმოადგენს. მაშასადამე, სალატიფარი ბალახოვანი ფერდობია; ბინული აღნიშნავს წყაროს და დასტურდება რაჭის სამივე გეოგრაფიული ზონის ტოპონიმიაში, აგრეთვე ზემო და ქვემო იმერეთში, სამეგრელოში; კაპარი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა (ქეგლ, IV). ზემო და ქვემო რაჭაში დასტურდება ტოპონიმები — კაპლარი, კაპრალი, კაპრალ(ებ)ი, კაპრები და სხვ. კაპარი, კამპარი შესულია მეგრულისა და იმერული დიალექტის ლექსიკონებში; მთარაჭის სვანიზმებს შორის დასახელებულია მეკენჩხალებიც... რა თქმა უნდა, ესაა ქართული ლექსემა ნეკერჩხალი, რასაც რაჭულ-ლენხუმურ ლექსიკაში მოუცია მეკენჩხალი (ფონეტიკური ვარიანტი). ეს ტოპოლექსემა გვხვდება იმერულშიც. მაშასადამე, რაჭაში დადასტურებულ ტოპონიმ მეკენჩხალებს ვერ ჩავთვლით სვანიზმად. იგივე ითქმის სხვა მრავალ ტოპონიმზეც: გვიმბრალა, ჭანჭახი, კაჩიეთი, ლენჭყი//ლენჭყო, კონჩხა (რაც ქართული კონცხ-ლექსემის მეგრული შესატყვისია) და სხვ.

ბაბრქალაჲა შიმღაჲ ნომარჲი

სიხსნოიანი გაზაფხული

1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ლავრენტი ბერია ჩამოიცილა. ამ მოვლენამ გადააწყვეტინა სკოლის მოსწავლეებს, 14-15 წლის ბიჭებს: ზვიად გამსახურდიასა და ანატოლი მიქაძეს ლ. ბერიას სახელის დასაცვად არალეგალური ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ. მათ შეუერთდნენ თამაზ გუნჯუა და ვლადიმერ სიხარულიძეც.

1956 წელს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივნმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ. ყრილობაზე გამომსვლელებმა, რომლებიც სტალინის ყველა სიტყვასა და ნამოქმედარს გენიალურს უწოდებდნენ, დაგმეს სტალინის პიროვნების კულტი და საზოგადოების, ე.წ., „დემოკრატიული განვითარების კურსი“ აიღეს.



აქცენტი კეთდებოდა მის ქართველობაზე, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი იყო რომ რეპრესიებისგან საქართველო სხვა რესპუბლიკებზე ნაკლებად არ დაზარალებულა.

ქართველებმა ნიკიტა ხრუშჩოვის „საპროგრამო სიტყვა“ ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს, რასაც თბილისსა და სხვა ქალაქებში დემონსტრაციები მოჰყვა. 1956 წლის 3 მარტიდან საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისში. ქართველმა სტუდენტებმა თბილისის ქუჩებში სტალინის პორტრეტებით მოაწყვეს მსვლელობა. 7 მარტს დემონსტრანტებს მოსწავლეებიც შეუერთდნენ. საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს

გადააჭარბა. დემონსტრანტებს ინტელიგენციის ნაწილი და მასში მონაწილე ახალგაზრდების მშობლებიც შეუერთდნენ. 8 მარტს კი დემონსტრანტებს მხარდაჭერა თბილისის სხვადასხვა ქარხნისა და ფაბრიკის მუშებმაც გამოუცხადეს.

დემონსტრანტების მოთხოვნები უფრო და უფრო პოლიტიზებული ხდებოდა. გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც. საბჭოთა ხელისუფლებისათვის პროტესტი და დემონსტრანტების მოთხოვნები მიუღებელი იყო. აშკარა ხდებოდა, რომ დემონსტრანტები მონოდებების საფუძველზე არ დაიშლებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ.

9 მარტს ღამით საბჭოთა არმიის ნაწილებმა არაადამიანური სისასტიკით მიიტანეს იერიში მომიტინგეებზე, მოკლეს 150-ზე მეტი ახალგაზრდა და დაასახიჩრეს კიდევ უფრო მეტი დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, დაღუპულთა რაოდენობა 100-დან 1000 ადამიანამდე მერყეობს.

ამ ამბებით გაღიზიანებული ზვიად გამსახურდიას ყოფილი არალეგალური ჯგუფის წევრები კვლავ შეიკრიბნენ. სექტემბერ-ოქტომბერში ჯგუფს უკვე ორგანიზებული სახე ჰქონდა და წევრთა რაოდენობაც გაზრდილიყო. ორგანიზაციას „გორგასლიანი“ ეწოდა.

მათ შექმნეს ფულადი ფონდი საწევროს სახით. შეაგროვეს 30-30 მანეთი და შეიძინეს საბეჭდი მანქანა, რომელზედაც 1956 წლის 1 დეკემბრის ღამეს მონაცვლეობით დაბეჭდეს ანტისაბჭოური შინაარსის წერილები. სულ შვიდი ცალი.

2 დეკემბერს, დილით, რუსთაველისა და პლესხანოვის გამზირზე ადამიანებმა უცნაური შინაარსის წერილები იხილეს კედლებზე გაკრული ჯგუფის წევრებმა საბჭოთა რეჟიმის მიმართ პროტესტი პროკლამაციების გავრცელებით გამოხატეს.

მისია წარმატებით დასრულდებოდა, რომ არა ერთი ინციდენტი. ჯგუფის წევრები წარმატების

აღსანიშნავად რესტორან “დარიალში” შეიკრიბნენ, საღამოს კი რუსთაველის გამზირზე გ. დოჩანაშვილსა და თ. მეტრეველს ჩხუბი მოუვიდათ, რის შედეგადაც დოჩანაშვილი ზურგში მძიმედ დაიჭრა.

1956 წლის 15 დეკემბერს კი უშიშროების კომიტეტის მიერ დაკავებულ იქნენ ანტისაბჭოთა არალეგალური ჯგუფის წევრები: ზვიად გამსახურდია, თბილისის 42-ე საშ. სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; ანატოლი მიქაძე, 42-ე საშ. სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; მერაბ კოსტავა, თბილისის მუსიკალური სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; თეიმურაზ ცერცვაძე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თამაზ გუნჯუა, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე; ვლადიმერ სიხარულიძე, პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თემურ მეტრეველი, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე

1956 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გრიფით “совершенно секретно” წერილი მოსკოვში გაიგზავნა. წერილის ადრესატი გახლდათ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი, იუსტიციის გენერალ-მაიორი მ. პ. მალიაროვი. წერილი იუწყებოდა, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში განვითარებული მოვლენების შემდეგ უკმაყოფილო ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა არალეგალური ფორმირება შექმნა, რომლის მიზანი საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო საქმიანობა იყო. ჯგუფის წევრები ნაციონალისტურად იყვნენ განწყობილი, ამჟღავნებდნენ რუსი ეროვნების მიმართ აგრესიას და მართავდნენ ქუჩებში დებოშს.

ფაქტად, ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის დროს მძიმედ დაიჭრილ ჯგუფის წევრ გ. დოჩანაშვილის შესახებ და დანარჩენების დააპატიმრებაზე მიუთითებდნენ.

დაიწყო გამოძიება, რათა სრულად გამოვლენილიყო ამ დაჯგუფების საქმიანობა, შემადგენლობა და მათი მოკავშირეები მართლაც, „გორგასლიანის“ წევრები დაიკითხნენ, გასამართლდნენ კიდევ, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც საკუთარი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ. რადიკალურად განწყობილი ეს ახალგაზრდები საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ

საეზოთუხურო ნიღბები



სანიღან ზამთრის ნაგაბიანი გავლანის აღმოფხვრავში საგაზაფხულო ნიღბები დაგახმარებათ.

მაიონჯის ნიღბი

0,5 ჯერცხის გულს დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი მაიონჯი და მცენარეული ზეთი. წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 10 წუთი, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ. საფეურის ნიღბი - 1 ჩაის კოვზი საფეური გახსენით მცირე რაოდენობით რძეში და მიღებული მასა სახეზე წაისვით. გაიჩერეთ გამრობამდე და ცივი წყლით ჩამოიბანეთ. ძალიან მშრალი კანის შემთხვევაში აღნიშნულს 5 წვეთი ზეთუნის ზეთი ჩაუმატეთ.

იაპონური ნიღბი

რეკომენდებულია სიბერისადმი მიდრეკილი კანისთვის. თანაბარი რაოდენობით თაფლი და ფქვილი გახსენით რძეში და მიღებული მასა სახესა და ყელზე წაისვით. გაიჩერეთ 30 წუთით, შემდეგ გვირილის ნაყენით ჩამოიბანეთ.

ლოზიოს ნიღბი

მოხარშეთ ლობიო, გასრისეთ, დაუმატეთ 2-3 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 1 სუფრის კოვზი ზეთუნის ზეთი. თბილი ფაფა 20 წუთით სახეზე წაისვით, შემდეგ ჯერ თბილი, ბოლოს ცივი წყლით ჩამოიბანეთ და სახეზე მკვებავი კრემი წაისვით.

თაფლის ნიღბი:

3-4 ჩაის კოვზი თაფლი შეურიეთ 2 ჩაის კოვზ ლიმონის წვენს და ამდენიმე ცაცხვის ფოთლების ნაყენს, კარგად აურიეთ და წაისვით სახესა და ყელზე.

აოგოსტოს ნიღბი:

ელსა და სახეზე დაიდეთ დამჭავებული (მარინადი) კომბოსტოს ფურცლები. 20 წუთის შემდეგ მოიხსენით და სახე ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

პარბოფილის ნიღბი:

2-3 კარტოფილი გახეხეთ სახეზე, დაუმატეთ სიმინდის ფქვილი იმდენი, რომ ფაფისებრი მასა მიიღოთ. ნიღბი თანაბრად გაანაწილეთ სახეზე, ყელზე და მკერდის არეში. გაიჩერეთ 20 წუთით, ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობით თბილი ან მინერალური წყლით. აღნიშნული არაჩვეულებრივია კანისთვის სინაზისა და ელასტიკურობის დასაბრუნებლად.



რ(ა)ზ(ა)რ მ(ა)ვ(ა)რ(ა)თ (ა)თ(ა)ხის იას?

ქალბატონებო, ალბათ, ჩემსავით თქვენც ხშირად გსმენიათ სიტყვები, რომ სრულყოფილება არ არსებობს, ყველაფერს აქვს გარკვეული ნაკლი, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ღმერთმა ამქვეყნად შექმნა მართლაც რომ ბუნების სრულყოფილი ქმნილებები. მათ აქვთ უნარი იმისა, რომ დაგვაშვიდონ, გაგვახალისონ და დათესონ ჩვენში სიკეთის გრძნობა. ბუნების ამ სრულყოფილებას მცენარეები ჰქვია.

მცენარეები, რომლებიც ათასწორად გვიფერადებენ და გვილამაზებენ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენს უურნალს ყვავილების სურნელება შევმატო და ყოველ ნომერში წარმოგიდგინო ცნობილი ბიოლოგისა და ბოტანიკოსის, ქალბატონ **ირინა დანელიას** ინტერვიუს სხვადასხვა სახეობის ყვავილის მოვლის და გამრავლების შესახებ.

ამჯერად გაგაცნობთ პატარა და საოცრად ლამაზ მცენარეს - „**ოთახის იას**“.

ოთახის ია, იგივე "სენპოლია", ათწლეულების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეკორატიული მცენარეა. მისი სახელწოდება "ია" სინამდვილეში არავითარ კავშირშია ჩვენთვის კარგად ნაცნობ, გაზაფხულის არაჩვეულებრივ მაცნესთან, ტყის იასთან. ეს ორი სახეობა არც კი ენათესავება ერთმანეთს.

უბრალოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ყვავილის ფერით და ფორმით გვანან ერთმანეთს, ამ დეკორატიულ მცენარეებსაც "ია" უწოდეს. რაც შეეხება სახელს "სენპოლიას", იგი დაკავშირებულია ცნობილ ინგლისელ ბარონთან სენ პოლთან, რომელიც გახლდათ მოგზაური და ბოტანიკოსი.

სწორედ მან ტანზანიაში მოგზაურობისას აღმოაჩინა ერთი ძალიან პატარა მცენარე ლამაზი ყვავილებით. როდესაც ეს მცენარე ევროპაში გაავრცელდა და აღწერეს ახალ სახეობად, აღმოჩენის

პატივსაცემად "სენპოლია" უწოდეს. თუმცა, გარდა ამ სახელწოდებისა, იგი მსოფლიოში ასევე ცნობილია სახელწოდებით "უზამბარის ია". ეს სახელიც სწორედ იმ გავრცელების ადგილიდან მოდის, სადაც მოგზაურმა სენ პოლმა აღმოაჩინა.

მცენარე თავიდანვე ძალიან პოპულარული გახდა. ათწლეულების მანძილზე სელექციონერებმა შეძლეს და გამოიყვანეს მისი ძალიან ბევრი ჯიში. არსებობს რთულყვავილიანი და მარტივყვავილიანი ჯიში. ასევე გვხვდება ჭრელფოთლიანებიც.

- **ქალბატონო ირინა, როგორ პირობებს საჭიროებს „ოთახის ია“?**

- გამომდინარე იქიდან, რომ „ოთახის ია“ წარმოშობით ტროპიკებიდან არის, მას მთელი წლის განმავლობაში ერთნაირი პირობები და მოვლა სჭირდება. ყურადღება უნდა მიექცეს მის ადგილმდებარეობას, ქოთანს, ნიადაგს, კვებას, ჰიგიენას და ა.შ. მაგალითად:

ადგილმდებარეობა: ადგილი, სადაც იას მოათავსებთ, უნდა იყოს განათებული, მაგრამ არ უნდა ხვდებოდეს პირდაპირი მზის სხივები, რადგან ხშირად სწორედ ეს ხდება მისი დაზიანებისა და სხვადასხვა დაავადების გაჩენის მიზეზი.

მორწყვა: მორწყვისას იას ფოთოლზე არ უნდა მოხვდეს წყალი. მოგეხსენებათ, მას აქვს ძალიან ნაზი ფოთლები ბუსუსებიანი ზედაპირით. ამიტომ მასზე მოხვედრილი წყალი დიდხანს რჩება, რაც აზიანებს და ალპობს მცენარეს. ამიტომ უმჯობესია იები მოვრწყათ უშუალოდ მიწის ზედაპირზე, ან თუ ძალიან პატარაა, შეიძლება ქოთნის სადგამი თეფშიდან მოირწყას.

მორწყვის სიხშირე: ია განეკუთვნება იმ ოთახის მცენარეების რიცხვს, რომელთაც უყვართ ზომიერი მორწყვა. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ მათ, ვისაც აქვს ოთახის იები, რომ როდესაც ნიადაგის ზედაპირი შემრება და არა - გამოშრება, მხოლოდ ამის შემდეგ

მორწყან. ანუ ზედა ფენა უნდა იყოს შემშრალი, მაგრამ შიგნით უნდა იყოს ოდნავი სინესტი.

არ ამყოფოთ იები დიდხანს სველ გარემოში. განსაკუთრებით ეს ეხება ზამთრის პერიოდს. ამ პერიოდში ჩვენ, ფაქტობრივად, ვუნახევრებთ იებს მორწყვას. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბინაში სიგრილეა; მაგრამ თუ პირიქით, ჰაერის სიმშრალეა, მაშინ მორწყვის ინტენსივობა იგივე რჩება, რაც წელიწადის სხვა დროს.

პიზინა: თუ იას დაემტვერა ფოთლები, მისი გასუფთავება უმჯობესია თმის საშრობი ფენის დახმარებით, მაგრამ ძალიან დაბალი სიმძლავრით. ასევე შესაძლებელია ძალიან რბილი ფუნჯითაც მტვრის გადაბერტყვა. მისი გასუფთავება არ არის სასურველი ბამბით ან ღრუბლით, რადგან ასე შეიძლება მას დაეზუზიანოთ ნაზი ფოთლები.

ნიადაგი და მისი გამოცვლის სიხშირე: წყალში დაფესვიანებული ფოთოლი უმჯობესია პირველი ერთი წლის მანძილზე რაც შეიძლება მსუბუქ ნიადაგში ვამყოფოთ. იგი უნდა იყოს ნოყიერი მინისა და ქვიშის ნარევი, რათა ფესვთა სისტემა თავისუფლად განვითარდეს. რაც შეეხება ნიადაგის გამოცვლას, ოთახის ია არ საჭიროებს ხშირ გადარგვას. თუ მას კარგად აქვს მოლონიერებული ძირი, მაშინ ორი-სამი წლის განმავლობაში თავისუფლად შეიძლება იგი ერთსა და იმავე ქოთანში ვამყოფოთ.

ქოთნის ზომა და ფორმა: ქოთნის ზომა და ფორმა ერთ-ერთ მნიშვნელოვანია მცენარისთვის. ოთახის იებისთვის ქოთნის ზომა უნდა შეირჩეს თვითონ იის ზომის მიხედვით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პატარა მცენარე ჩარგოთ დიდ ქოთანში.

რადგან თუ მიწა ბევრია და ჩვენ მას ზედმეტად მოვრწყავთ, მცირე ზომის მცენარე ვერ მოასწრებს ნიადაგიდან წყლის ამოღებას, რაც შემდეგ მის დაღპობას გამოიწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ ოთახის იების ფესვთა სისტემა საკმაოდ ზედაპირულია, უმჯობესია იგი ჩავრგათ განიერ და დაბალ ქოთანში. ასეთ ვითარებაში მას საკმარისი ადგილი ექნება ახალი ნაყარისთვის.

- როგორ მრავლდება ოთახის ია?

- როგორც წესი, ოთახის იები მრავლდება ფოთლის დაფესვიანებით და ძირის გაყოფით. ასევე შესაძლებელია თესლით გამრავლება. ყველაზე მარტივი მაინც ფოთლის დაფესვიანებაა. უმჯობესია გამრავლდეს მეორე რიგის და არა პირველი რიგის ფოთლით, რომელიც უშუალოდ მიწას ეხება.

მეორე რიგში აარჩიეთ ის ფოთოლი, რომელსაც უფრო მოგრძო, დაახლოებით 2 სმ-ის ყუნწი ექნება,

მოათავსეთ იგი წყალში მანამ, სანამ დაფესვიანდება და შემდეგ გადარგეთ ქოთანში.

- რამდენად საჭიროებს ოთახის ია კვების მხრივ რაიმე სახის დანამატს?

- თუ მცენარე არის ახალგადაარგული და ნიადაგი ახალი აქვს, ასეთ შემთხვევაში ის საერთოდ არ საჭიროებს არავითარ დამატებით კვებას. რაც შეეხება თავად კვებით დანამატებს, დღეს უკვე შემოსულია სპეციალური სასუქები, რომლებიც თავიანთი შემადგენლობის მიხედვით გამოიყენება მოყვავილე მცენარეებისთვისაც, ფოთლოვან-დეკორატიულებისთვისაც და ა.შ.

იებისთვის კი უნდა ვიხმაროთ მოყვავილე დეკორატიული მცენარეებისთვის განკუთვნილი თხევადი სასუქი. აქვე პატარა რჩევა ქალბატონებს - იმის გამო, რომ იას ძალიან ნაზი და მგრძობიარე ფესვები აქვს, უმჯობესია სასუქი კიდევ ცოტა უფრო მეტად გააზავოთ და ისე გამოიყენოთ.

- როგორ შეიძლება ვუმკურნალოთ დაავადებულ, დაზიანებულ ოთახის იას?

- ძირითად შემთხვევებში ოთახის ია ავადდება სოკოვანი დაავადებებით. ამიტომ თუ მცენარეს გაუჩნდა სოკოვანი დაავადება, ამ შემთხვევაში მხოლოდ სპეციალისტის კონსულტაციით უნდა მოხდეს მკურნალობა. არის შემთხვევები, როდესაც მცენარეს უჩნდება ბუგრები.

ასეთი შემთხვევისთვის ერთ პატარა რჩევას მივცემ ქალბატონებს: გადააფარეთ მცენარეს პოლიეთილენის პაკეტი, შეუშვით შიგნით სიგარეტის ბოლი და გააჩერეთ ცოტა ხნით ამ მდგომარეობაში. ასეთი შემთხვევაში ბუგრები ნამდვილად დაიხოცებიან.

ეს ქმედება შეიძლება საბოლოო გამოსავლად არ ჩაითვალოს, მაგრამ პირველ ეტაპზე შედეგი ნამდვილად ექნება.

- ქალბატონები ხშირად ნუხან, რომ მათი ოთახის ია უწინდებურად აღარ ყვავის, მას ყვავილის ხარისხი გაუფუჭდა და ა.შ. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მსგავს პრობლემას არ ჰქონდეს ადგილი?

- ოთახის ია, თავისი ტროპიკული წარმოშობიდან გამომდინარე, თითქმის მთელი წლის განმავლობაში ყვავის, მაგრამ თუ მან დაკარგა ეს თვისება, ამის მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება დასახელდეს.

მაგალითად, იგივე, რაც უკვე აღვნიშნეთ, რომ პატარა მცენარეს რგავენ ძალიან დიდ ქოთანში, ან არასწორ ადგილმდებარეობას ურჩევენ. ახალი ადგილმდებარეობის შესაგუებლად მას შეიძლება გარკვეული პერიოდი დასჭირდეს და ამიტომაც, შესაძლოა, შეწყვიტოს ყვავილობა.

სამარხვო კერძები



სამარხვო ბლინები

ინგრედიენტები:

- 1/2 ჩაის ჭიქა ფქვილი
- 1 ჩაის ჭიქა ანადუღარი წყალი
- 1 სუფრის კოვზი ზეთი
- სასურველი ხილის ჯემი
- ზეთი შესანვავად



მომზადების წესი

თბილ წყალს დაამატეთ ერთი სუფრის კოვზი ზეთი და შეაზილეთ ფქვილი ისე, რომ თხელი არაყნის სისქის ცომი მიიღოთ. ცხელ ტაფაზე მოზრდილი კოვზით დაასხით ცომი და ტაფა ისე ამოძრავეთ, რომ ცომი მასზე თანაბრად გაიშალოს. ბლინი შეწვით მხოლოდ ცალი მხრიდან და გადმოიღეთ. ასე ამზადეთ ბლინები მანამ, სანამ ცომი გეყოფათ. თითოეული ბლინის შემწვარ მხარეს სუფრის კოვზით დადეთ ჯემი, შეახვიეთ მუთაქის ფორმით და შეწვით ყველა მხრიდან.

კომბოსტოსამარხვო ღვეჯი

ინგრედიენტები:

ცომი:

- 220 მლ თბილი წყალი
- 2 ს.კ. მცენარეული ზეთი
- 4 ჭიქა ფქვილი
- 4 ჩ.კ. შაქარი
- 1C ჩ.კ. მარილი
- 1 ჩ.კ მშრალი საფუარი

გულსართი:

- 1 თავი ხახვი
- 1-2 კბილი ნიორი
- 2-3 ღერო მწვანე ხახვი
- 1 ჩ.კ. კარი
- 1/2 ჩ.კ. დაფქული ქინძი
- მარილი გემოვნებით
- მცენარეული ზეთი



მომზადების წესი:

დიდ ჯამში მოვამზადოთ საფუარი მასა თბილი წყალი, ზეთი, შაქარი, მარილი და საფუარი (ბუშტუკების გაჩენამდე) გავაჩეროთ თავზე ჩაის ტილო გადაფარებული. დავამატოთ ფქვილი, კარგად გადავზილოთ და დავდგათ თბილ ადგილას. ცომი უნდა გაორმაგდეს.

დიდ ტაფაზე გავაცხელოთ მცენარეული ზეთი, დავყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი, მოვთუშოთ ხახვის გამჭვირვალობამდე. დავამატოთ დაჭრილი კომბოსტო, დავახუროთ თავსახური და ვამზადოთ, ბოლოში დავამატოთ სუნელები და მარილი. გადავიტანოთ დიდ ჯამში და ვაცადოთ გაგრილება. დავამატოთ დაჭრილი მწვანე ხახვი და გადავურიოთ.

ცომი გავაბრტყელო და დავჭრათ წრეებად. კომბოსტოს გულსართი ჩავდოთ თითოეული წრის შუაში და მოვუკრათ თავი. გავაცხელოთ ტაფზე ზეთი და გამოვაცხოთ ღვეჯელები.

ცხარე კარტოფილი ბულგარული წინაკით

ინგრედიენტები:

- | | |
|----------------------|---------------------|
| 1.5 კგ კარტოფილი | 5 ს.კ. ზეთუნის ზეთი |
| 3 ც ბულგარული წინაკა | 1 ს.კ. ვაშლის ძმარი |
| 2 ც ხახვი | 1 ს.კ. პაპრიკა |
| 4 კბილი ნიორი | 1 ჩ.კ. ტიმიანი |
| 1 ც ცხარე წინაკა | მარილი, შავი წინაკა |



მომზადების წესი:

კარტოფილი გავფრცქვენათ და მოვხარშოთ მარილ წყალში. ხახვი დავჭრათ კუბიკებად. წინაკა გავასუფთავოთ და დავჭრათ კუბიკებად, როგორც ხახვი. დავაქუცმაცოთ ცხარე წინაკა და ნიორი. შევურიოთ ზეთი, ძმარი და სპეციები. გაგრილებული კარტოფილი დავჭრათ კუბიკებად. ტაფაზე გავაცხელოთ ზეთი და შევწვათ კარტოფილი ხრამუნა კანის მიღებამდე. დავამატოთ ხახვი და წინაკა კარტოფილს, გადავურიოთ და ვამზადოთ 7-9 წთ-ი. შევურიოთ ცხარე სოუსი კარტოფილს, გადავურიოთ და ვამზადოთ კიდევ 2 წთ-ი.

სოკოს კატლეტები მწვანელით და ნივრით

ინგრედიენტები:

- | | |
|-------------------------------|------------------------|
| 680 გრ. თეთრი სოკო შამპინიონი | 85 გრ. მოხალული ნიგოზი |
| 30 გრ. ოხრახუმი | 3 ს.კ. სოიოს სოუსი |
| 2 ს.კ. ზეთუნის ზეთი | 2 ს.კ. სოუსი ჰოისინი |
| 2 თავი ყვითელი ხახვი | 1 ჩ.კ. ორეგანო |
| 3 კბილი ნიორი | 1 ჩ.კ. შალფეი |
| 2 ჭიქა სუხარი დამსხვრეული | მარილი გემოვნებით |
| 3 ს.კ. ტაჰინი (სეზამის პასტა) | შავი წინაკა გემოვნებით |



მომზადების წესი:

ბლენდერში დავაქუცმაცოთ დაჭრილი სოკო და ოხრახუმი, ერტგვაროვანი მასის მიღებამდე. გადავიტანოთ ჯამში. ტაფაზე გავაცხელოთ 1 ს.კ. ზეთუნის ზეთი, მოვთუშოთ ხახვი და ნიორი. გადავიტანოთ სოკოსთან და დავამატოთ 1,5-2 ჭიქა სუხარი, ტაჰინი, სოუსი ჰოისინი, დამსხვრეული ნიგოზი, სოიოს სოუსი, ორეგანო, შალფეი, მარილი და შავი წინაკა. კარგად გადავურიოთ და შევდგათ მაცივარში 30 წთ-ით. ფარში უნდა იყოს რბილი მაგრამ კარგად იკვრებოდეს კატლეტი. საჭიროებისამებრ დავამატოთ სუხარი და ტაჰინი. ფარშისგან გავაკეთოთ კატლეტები. ტაფაზე გავაცხელოთ დარჩენილი ზეთუნის ზეთი და შევწვათ კატლეტი 3-5 წთ-ი თითოეული მხრიდან.

მაკარონი ისპანახით

ინგრედიენტები:

- 450 გრ მაკარონი
- 450 გრ დაჭრილი მოხარშული ისპანახი, კარგად დანურული
- 1 თავი ხახვი
- 1 ცალი სტაფილო წვრილად გახეხილი
- რამოდენიმე ღერი ნიახური
- 1 ჩიქა ზეთი (შეგიძლიათ არ გამოიყენოთ)
- მარილი და პილპილი



მომზადების წესი:

ზეთუნის ზეთში მოვთუშოთ ხახვი, ნიახური და სტაფილო. დავამატოთ ისპანახი, მარილი, წინაკა და ვთუშოთ. მოვხარშოთ მაკარონიპაკეტზე მითითებული მეთოდით, გადავწუროთ და მოვათვსოთ დიდი ჯამში. დავამატოთ ისპანახი მაკარონს და გადავურიოთ.



ლეილა

ბენდიშვილი

1995 წლის ზაფხულში მეგობრებმა გერმანიაში სტუმრად მიმიწვიეს. მგზავრობის თანხაც მათ დააფარეს.

ბევრს ახსოვს 90-იანი წლების საქართველო, ამდენად ბერლინში ჩასვლა ჩემთვის მაცოცხლებელი ჰაერის ჩასუნთქვის ტოლფასი იყო.

ცოტა ხანს სული მოვითქვი. მასპინძლებმა ბევრი რამ დამათვალიერებინეს, რაც მართლა დიდ ინტერესს იწვევდა. მაგრამ ერთი თვის მერე მომეძალა სევდა. აღარ მხიბლავდა არც სახლების სილამაზე, არც გარემო: თვალისათვის მომხიბლავი გულისათვის უცხო იყო.

მენატრებოდა ჩემი სამშობლო, მიუხედავად იმისა, რომ გულთბილმა. მას-

პინძლებმა დარჩენა შემომთავაზეს, ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი ქვეყნის, ოჯახის გარეშე ვერ შევძლებდი უოფნას.

ბევრი სიძნელე გამოვიარე, დაღუბნილი არც ახლა ვარ, მაგრამ არ ვნანობ, რომ ევროპაში არ დავრჩი.

იქ ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო.

აქაური სიდუხჭირე იქაურ ნეტარებას მირჩევნია.

არავის განვიკითხავ! მაგრამ, როდესაც ახლობელმა მითხრა: „სახლის მშენებლობა კი დავამთავრე, მაგრამ შვილებმა ვერ მიცნეს, არ მეკარებიან და ის წლები, რაც უცხოეთში გავატარე ჩემთვის წაშლილიაო“, - მგონია დაფიქრებად ღირს.

ვისაც ჯერ არს

მრავალია ქვეყანაზე
თვალწარმტაცი ადგილი,
იმეზავრეთ და გაისხენეთ
ის წუთები განვლილი.

წლები გარბის, არ მინახავს
სვანეთი და ვარძია,
ჩამოსხმული კოშკები-
ეს ხომ ჩვენი განძია!

რა ვურჩიო, რა მოუყუე
თვალსატულა პატარებს?
თვიდან-თვემდე ღარებს ვითვლი
ვერ ვისრულებ ოცნებებს.

არ მიტაცებს არც პარიზი,
არც ლურჯი ანტალია,
ერთი ნატურა გულს მიბორჯავს,
სული ფიქრმა დალია.

არ მინახავს სამეგრელო,
ხევსურეთი, შატილი,
გურიაში ლურჯი მთები,
ალაზანი გაშლილი!

მსურს მოვასწრო სანამ დროა,
თვალშიც სხივი ანათებს,
პენსიები მოგვიმატეთ
ავისრულებ ოცნებებს!

ჩემი ტურფა საქართველო
ეს პატარა ზღაპარი,
არის ჩემი ოცნება და
აუხსნელი სიხმარი.

სხვა ჩამოდის, სხვა მიუვება
ჩემი ქვეყნის სანახებს,
სხვა გიჟდება, მე კი ვუსმენ
მის მონაუოლს, ნანახებს.

გავინარბე, შემოვივლი
ჩემი ქვეყნის მთა-გორებს,
და მადლობას შემოვწირავ
ამ წალკატის შემოქმედს!

ჩვენო დადიარობა და ღიმილი ბავშვს.

გილოცავთ გაზაფხულის
შემობრძნებას,
ვიციტ, რომ თქვენი
ბუნდურების წყალობა
ჩვენი ჯანმრთელი და
წარმატებული მომავალია.
გპირდებით, დიდი სიყვარულით
რომ გავხდებით თქვენს ამაგს
სიყვარულით გადავიხდით.
თქვენი ანდრია და
ატიქსანდრე.



ბიძაშვილები
ანდრია და ატიქსანდრე დაუშვილები

შხია ბიძაშვილსა და
ინაჯრი გუნყურს
ჯურთყავთ
ბუნდურებას



განათხულები შემოსულა ღენ

განათხულები შემოსულა, ღენ,
ბუდეები გაუწევიათ ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩიტებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
განათხულები შემოსულა, ღენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი, უბორკილო დღე ...
მოგანატრე სათიბი და ტყე!

აწი აღარ გაგახერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს –
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი აღარ გაგახერებ შინ!

განათხულები შემოსულა, ღენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს ...
მე გიყიდი ვვავილიან ჩიტებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
განათხულები შემოსულა, ღენ!



მურმან
ლებანიძე